სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი 26 ნოემბერი 1998 №216 (751) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

EUROBASKET 99

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

ჩეხეთი 81:74 საქართველო

25 ნოემბერი. ოპავა. 1200 მაყურებელი. პირველი ტაიმი 32:42

მსაჯები: ნაკიჩი (ხორვატია), პოიგერი (ავსტრია)

ქართველები კარგად იწყებენ, მაგრამ ცუდად ამთავრებენ



ირჟი ზიდეკი საუკეთესო იყო

ოპავას სპორტის სასახლეში ჩეხმა კალათბურთელებმა 81:74 (32:42) მოუგეს ქართველებს და E ჯგუფში უფრო მყარად დამკვიდრდნენ მესამე ადგილზე. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო ირჟი ზიდეკი, რომელმაც ნაკრებში დაბრუნება და „ევრობასკეტ-99“-ის შესარჩევ ციკლში დებიუტი 34 ქულით აღნიშნა.

ქართველებმა შესანიშნავად დაიწყეს. ისინი სწრაფად და ერთსულოვნად მოქმედებდნენ. ჩეხებს გაუჭირდათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ წინააღმდეგ არ თამაშობდა ქართველების უძლიერესი კალათბურთელი ვლადიმერ სტეფანია — იგი გაცივდა და ლიუბლიანაში დარჩა. ლიდერის არყოფნა სტუმრებს არ დასტყობიათ, მით უფრო, რომ ამას ოკაჩმა და ზიდეკმაც შეუწყვეს ხელი — ფარზე იშვიათად ხსნიდნენ ბურთს.

მე-15 წუთზე საქართველო 35:21 დაწინაურდა. ამ დროისთვის ჩეხთა მწვრთნელმა ზდენეკ ჰუმელმა ათივე კალათბურთელი კი ათამაშა, მაგრამ უშედეგოდ. მასპინძლებმა სიმაღლეში უპირატესობა ვერ გამოიყენეს, შედარებით ტანმორჩილი ქართველები ფონს სისწრაფის და ზუსტი საშუალო სროლების ხარჯზე გადიოდნენ.

გარდატეხა მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა, მაშინ, როცა ჩეხები აგრესიულად ამოქმედდნენ დაცვაში. სტუმრებმა სამქულიანების სროლაზე აააწყვეს თამაში, მასპინძელთა შეტევები კი ცენტრებისთვის ბურთის მიწოდებით სრულდებოდა. ზიდეკი თითქმის არ აცილებდა. მანვე ოკაჩთან ერთად ფარიც გადაკეტა და ამით ბეჩკას მიეცა თავისუფლად მოქმედების საშუალება. მატჩის ბოლოს ჩეხთა უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა.

შეხვედრის შემდეგ თავისიანების სასტარტო დაბნეულობა ჰუმელმა ფსიქოლოგიური არამდგრადობას დაბრალა და დასძინა, თუკი ჯგუფიდან გასვლა გვსურს, მომავალში ასეთი რამ აღარ უნდა დაგვემართოსო. ჩეხთა მწვრთნელმა ერთიც თქვა, მთავარია, მოვიგეთო, შემდეგ კი ამ მატჩზე სიტყვაც აღარ დაუძრავს — მხოლოდ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ილონა კოლაროვა „სპორტი“ ოპავადან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ჩეხეთი	წუთი	2-ქულიანი	3-ქულიანი	საჯარიმო	მოხსნა	პასი	ჩაჭრა	ფოლი	ქულა
ბეჩკა	14	1/3	0/0	1/2	5	0	1	5	3
ჩუდეკი	26	0/0	0/2	6/11	2	2	0	3	6
კლაპეტეკი	10	0/2	0/0	0/0	1	0	0	0	0
ოკაჩი	19	6/7	0/0	3/3	2	4	1	5	15
სტანეკი	33	2/4	0/1	1/2	1	0	5	4	5
შტუხლი	3	0/0	0/0	0/0	1	0	0	2	0
ტრეფლი	29	1/3	1/3	6/8	0	0	2	2	11
ვაჰალა	14	1/1	1/4	2/2	1	1	1	4	7
ბ. ველში	15	0/2	0/0	0/2	1	2	1	1	0
ზიდეკი	37	11/14	0/2	12/14	17	1	1	4	34
სულ	200	22/36	2/12	31/44	31	10	12	30	81

საქართველო	წუთი	2-ქულიანი	3-ქულიანი	საჯარიმო	მოხსნა	პასი	ჩაჭრა	ფოლი	ქულა
აბრამიძე	37	1/2	1/7	2/7	3	2	3	3	7
ბერძენიშვილი	10	1/2	0/0	1/2	1	1	0	3	3
ბოისა	19	1/3	0/1	1/2	3	1	1	5	3
ჩხეიძე	32	4/5	0/2	4/5	3	0	2	5	12
ჯაფარიძე	19	7/10	2/3	2/2	5	0	2	5	22
ფლენტი	21	1/1	1/3	0/2	1	0	1	4	5
გ. ნაცვლიშვილი	1	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	0
ვ. ნაცვლიშვილი	34	4/14	1/1	7/18	7	0	2	4	18
ფაფაკიძე	27	1/3	0/2	2/4	0	0	2	4	4
სულ	200	20/40	5/19	19/42	23	4	13	33	74

EUROBASKET 99

ევროპის ჩემპიონატისშესარჩევი მატჩები

A ჯგუფი

სლოვენია 79:66 საბერძნეთი
ბულგარეთი 61:83 გერმანია
სლოვაკეთი 88:74 ბელგია

B ჯგუფი

უნგრეთი 78:68 პოლონეთი
მაკედონია 89:94 რუსეთი

C ჯგუფი

ბელარუსი 71:65 ისრაელი
ესპანეთი 80:51 უკრაინა
ინგლისი 87:70 დანია

D ჯგუფი

ბოსნია 57:87 ლიტვა
ესტონეთი 76:82 ხორვატია
ჰოლანდია 77:65 ისლანდია

E ჯგუფი

ლატვია 64:62 იტალია
შვედეთი 64:90 თურქეთი

იტალია	6	5	1	496:396	11
თურქეთი	6	5	1	453:398	11
ჩეხეთი	6	4	2	452:462	10
ლატვია	6	2	4	472:469	8
შვედეთი	6	2	4	462:511	8
საქართველო	6	0	6	406:505	6

ჩემპიონთა ლიგა. V ტური
25 ნოემბერი

ინტერი — რეალი 3:1. რობერტო ბაჯოს მესამე გოლ.

REUTERS მილანიდან

A ჯგუფი

აიაქსი 0:1 კროაცია

0:1 ი. სიმიჩი (68)
აიაქსი: ვან დერ სარი, მენსა, ბლინდი, ფ. დე ბური, სიერი (მელხიოტი 42), რ. დე ბური, ვიჩზე, დანი, ვამბერტო (ბაბანგიდა 72), ჰოსი (მაკართი 64), ჰუტსტრა
კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, კრენარი (იურჩიჩი 45), მარიჩი, იურიჩი, რუკავინა (საბიჩი 80), დ. სიმიჩი, სარიჩი (ი. სიმიჩი 53), ცვიტანოვიჩი, იელიჩიჩი, ბისკანი

ოლიმპიაკოსი 2:1 პორტუ

1:0 გოგიჩი (17), 2:0 ჯორჯევიჩი (55), 2:1 ზაპოვიჩი (76)
ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, პურსანიდისი, იანაკოპულოსი (ბასალისი 53), გოგიჩი, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი, კარაპიალისი, გეორგატოსი, ალექსანდრისი, ანატოლაკისი
პორტუ: კორეია, სეკრეტარიო, ალოიზიო, ფერნანდო მენდეში, ჟორჟე კოშტა, დორივა, კარლოს კაინო (რუბარუში 52), ზაპოვიჩი, ნუნო კაპუჩო, დრულოვიჩი, ჟარდელი

ოლიმპიაკოსი	5	3	1	1	7:5	10
კროაცია	5	2	1	2	4:6	7
აიაქსი	5	2	1	2	4:3	7
პორტუ	5	1	1	3	8:9	4

B ჯგუფი

რუსენბორგი 2:1 ბილბაო

1:0, 2:0 სორენსენი (2, 50), 2:1 ხორხე პერესი (90)
რუსენბორგი: იამტფალი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბრაგსტადი, ჰედერსენი, სტრანდი (ვინსენსი 79), სკამელსრუდი, ბერგი (მეიერი 90), სორენსენი (დლუმი 84), რუშფელდტი, იაკობსენი
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ურუტია (ურსაისი 46), იმასი, გერერო (ხორხე პერესი 60), ესკუერო, ლარასაბალი (კარლოს გარსია 46), ფერეირა, ხ. ეჩებერია, ალკისა, რიოსი

რუსენბორგი	5	2	2	1	7:6	8
გალათასარაი	4	2	1	1	7:6	7
იუვენტუსი	4	0	4	0	4:4	4
ბილბაო	5	0	3	2	4:6	3

C ჯგუფი

ინტერი 3:1 რეალი

1:0 სამორანო (50), 1:1 ზეედორფი (58), 2:1, 3:1 ბაჯო (86, 90)
ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, გალანტე, ვესტი, სოუზა (კოე 74), სიმეონე, ვინტერი, მორიერო (ძანეტი 57), სამორანო (ბაჯო 68), რონალდო
რეალი: ილგნერი, სანჩისი (შუკერი 88), სასი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი (იარნი 80), რედონდო, ხამე, რაული, ზეედორფი, სავიო, მიატოვიჩი

სპარტაკი 0:0 შტურმი

სპარტაკი: ფილიმონოვი, გორლუკოვიჩი, ხლესტოვი, ციმბალარი, ბუშმანოვი, ანანკო, ბარანოვი, ტიტოვი, ტიხონოვი, შირკო (ბუზნიკინი 68), რობსონი (კანიშჩევი 53)
შტურმი: სიდორჩუკი, მილანიჩი, მაილიხი, შუპი, ვასტიჩი, ჰაასი (ბაბალადე 90), პრილასნიგი, პოში, შოპი, კოციანი (მარტენსი 82), პოპოვიჩი

ინტერი	5	3	1	1	7:5	10
რეალი	5	3	0	2	15:7	9
სპარტაკი	5	2	2	1	6:4	8
შტურმი	5	0	1	4	2:14	1

D ჯგუფი

ბაიერნი 2:0 ბრონდბიუ

1:0 იანკერი (51), 2:0 ბასლერი (57)
ბაიერნი: კანი, მათეუსი, შტრუნცი, ბაბელი, კუფური, ლისარასუ, ბასლერი, იერმისი (ფინკი 70), ტარნატი, ელბერი (სალიჰამიჯიჩი 84), ციკლერი (იანკერი 46)
ბრონდბიუ: ანდერსენი, ბიური, ნილსენი (და სილვა 68), იენსენი, დუგარდი, სანდი, ჰანსენი (კრისტენსენი 70), კოლდინგი, ბაგერი (ლინდრუნი 65), სკარბალიუსი, რასმუსენი

ბარსელონა 3:3 მანჩესტერი

1:0 ანდერსონი (1), 1:1 იორკი (25), 1:2 კოული (52), 2:2 რივალდო (56), 2:3 იორკი (67), 3:3 რივალდო (72)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ფიგუ, სელადესი, ანდერსონი, ჯოვანი, რივალდო, სერხი, ოკუნოვი, ზენდენი, ხავი
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, სტამი, ბეკემი (ბათი 80), კოული, ბლომკვისტი, კინი, სქოულზი, იორკი, ბრაუნი

ბაიერნი	5	3	1	1	8:5	10
მანჩესტერი	5	2	3	0	19:10	9
ბარსელონა	5	1	2	2	9:9	5
ბრონდბიუ	5	1	0	4	4:16	3

E ჯგუფი

დინამო 2:1 პანათინაიკოსი

0:1 ლაგონიკაკისი (35), 1:1 რებროვი (72), 2:1 ბასინასი (79 ს.ჯ.)
დინამო: შოვკოვსკი, ლუფნი, გოლოვკო, ფიოდოროვი, დმიტრულინი, კარდაში (მიხაილენკო 77), გუსინი, ხაცკევიჩი, კოსოვსკი (ბელკევიჩი 45), შევჩენკო, რებროვი
პანათინაიკოსი: ვანძიკი, ლაგონიკაკისი, ბასინასი, ვოკოლოსი, ალექსოპულოსი, კიასოსი (და სილვა 83), კოსტანტინიდისი, ასანოვიჩი, აპოსტოლაკისი (კოლა 77), ვარგიხა, ლიბეროპულოსი

არსენალი 0:1 ლანსი

0:1 დებევი (73)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი (ბოულდი 46), კიოუნი, უინთერბერნი, პარლოუ, გარდე (ვივასი 69), პიუზი, ოვერმარსი, ვრე (ბოა მორტე 69), ანელკა
ლანსი: ვარმუზი, სიკორა, მანიე, დეუ, ლაშო, დებევი, ნიარკო, რული, შმიცერი (მორეირა 81), ნუმა (ელუა 61), ვერელი

დინამო	5	2	2	1	8:6	8
ლანსი	5	2	2	1	4:3	8
პანათინაიკოსი	5	2	0	3	5:6	6
არსენალი	5	1	2	2	5:7	5

F ჯგუფი

ჰიკ 1:3 ეინდჰოვენი

0:1, 0:2 ვან ნისტელროი (29, 67), 1:2 ლეჰკოსუო (70პ), 1:3 ვან ნისტელროი (81ბ)

ბენფიკა 2:1 ლაუტერნი

1:0 ნუნო გომეში (31), 2:0 ჟოაო პინტუ (69), 2:1 რიშე (90)
ბენფიკა: ოვჩინიკოვი, ელ ხალეჯი, მინტო, მადეირა, ჯუიარო, სალადო, პემბრიჯი, ლეალი, პობორსკი, ჟოაო პინტუ, ნუნო გომეში
ლაუტერნი: რაინკე, რამზი, იბრაჰიმი, როოსი (ჯოხი 46), ბაკი (ფუნიორი 46), ბალაკი, ხრისტოვი, ოჯიგვე (რიშე 53), რიდლი, რაიხი, მარშალი

ლაუტერნი	5	3	1	1	7:4	10
ბენფიკა	5	2	1	2	6:7	7
ეინდჰოვენი	5	2	0	3	8:9	6
ჰიკ	5	1	2	2	6:7	5

ჯერ არნახული...

ოდიში მსაჯებს ფულს არ უხდიდა

ფეხბურთის ფედერაციის ერთი ძველი ცოდვაც გაცხადდა. არა, ახალი ამბავი ნამდვილად არ იქნება, თუ გაიგებთ, რომ ფედერაციის ხელმძღვანელები თავიანთივე ხელით შეთხზულ ჩემპიონატის დებულებას არღვევდნენ, დამნაშავედ ხან ვის ცნობდნენ, ხან — ვის, საბოლოოდ კი მაინც ყველა, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, დაუსჯელი რჩებოდა.

აგერ, ვრთ მაგალითს მოგახსენებთ 1996-97 წლების საფეხბურთო სეზონიდან. კალენდრის მიხედვით „მერანს“ თელავის „კახეთისთვის“ უნდა ემასპინძლა. კახელებს ფინანსურად მეტად უჭირდათ, არც სატურნირო ცხრილში ჰქონდათ აწყობილად საქმე, ჯგუფიდან გავარდნის რეალური კანდიდატები იყვნენ, „მერანთან“ თამაში კი მათთვის პრინციპული იყო. მატჩი ჩაიშალა. მიზეზი — „კახეთის“ თბილისში ჩამოუსვლელობა. ატყდა ერთი ამბავი, მაგრამ ყველაფერი მალევე ჩაწყნარდა. თურმე კახელებს თავის გასამართლებლად ისეთი არგუმენტი უთქვამთ, ქვას გახეთქდა. გუნდის ფეხბურთელთა ნახევარზე მეტი სოკოთი მოიწამლაო, შემოთავლეს თელავიდან. ფედერაციის ხელმძღვანელებმა გულუბრყვილო ბავშვებივით დაუჯერეს კახელებს, მომავალში ითამაშეთო, უთხრეს გუნდებს. თელაველებს მაინც არაფერმა უშველა. ჯგუფიდანაც გავარდნენ. კვლავ ფინანსურ კრიზისში არიან, ისევ კეთილი და ფულიანი კაცის იმედად. როდის ეშველებათ, ღმერთმა უწყის. ფედერაციის ლმობიერებამ მაინც ვერ გამოიღო შედეგი, სახელი კი კიდევ უფრო გაიტეხეს.

არ გეგონოთ, თითქოს ფედერაციისა და „კახეთის“ ცოდვა შეგნებულად გავიხსენეთ. არა, უბრალოდ, რაც უმალ მოგვიგიდა თავში, ეს იყო, თორემ ამგვარ და ამაზე უარეს დარღვევებს არქივის გადაქექისას ბევრს რომ ვიპოვით, ვფიქრობთ, ეჭვი არ გეპარებათ.

გუშინწინდელ „სარბიელში“ ამოიკითხავდით: „კალენდარულ მატჩზე გამოუცხადებლობისთვის, ან სამსაჯო-საინსპექტორო თანხის გადაუხდელობისთვის გუნდი მოიხსნება გათამაშებიდან.“ ეს ფეხბურთის ფედერაციის დებულებაში წერია.

ახლა კი მთავარზე: XIV ტურის მატჩზე. ისევ „მერანთან“ თბილისში სათამაშოდ უფულო ლანჩხუთის „გურია“ არ გამოცხადდა. „კახეთისგან“ განსხვავებით, გურულებს დედაქალაქში ჩამოუსვლელობის მიზეზი აღარ დაუსახელებიათ. ეტყობა, ვერაფერი მოიფიქრეს და იმიტომ. ფული — აი, ამიტომ არ ითამაშეს ლანჩხუთელებმა „მერანთან“, ისევე როგორც თელაველებმა და სხვებმა სხვებთან.

ახალი ფედერაცია ძველივით მოიქცა. „გურიას“ ხელი დააფარა. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ დებულების ერთ-ერთი

ვალერი ჩოლარია

პუნქტის დარღვევისთვის „გურიას“ პირობითი დისკვალიფიკაცია აკმარა სეზონის ბოლომდე, აქაოდა, ლანჩხუთელების ძველ დამსახურებას არ ვივიწყებთო. კი მაგრამ, გვიკვირს, რა შუაშია ძველი დამსახურება?

„გურია“ საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში აღზევდა, 22 ათასიანი სტადიონი ორ თვეში ააშენეს. გრიგოლეთში საფეხბურთო ბაზა მოაწყვეს, პირველებმა მოინდომეს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება. იყო, ასე იყო 10-15 წლის წინათ, მაგრამ დღეს?

დღეს „გურია“ 9 კაცით თამაშობს ეროვნულ ჩემპიონატში, პურის ფული არა აქვთ. ოზურგეთში შეკარესთან კაცს აგზავნიან, არიქა, შენი ჭირიმე, ჩამოდი ლანჩხუთში, ხვალ „გორდას“ ვეთამაშებითო. მეკარე შეწუხდება, მიაკითხავს მატჩამდე 15 წუთით ადრე „ევრგაფი შევარდნაძის“ სტადიონს, ჯანდაბას თქვენი თავი, ერთხელაც მოვირგებ ხელთათმანსო, იტყვის, მერე სხვები არიან დასაბმელები, ზოგი ფოთში მიდის, ზოგიც მის იქით. საბოლოოდ ცხრა კაცი ერთი საათით გვიან გროვდება. მეტოქეს ეევდრებიან, ოღონდ ვითამაშოთ და სამ ქულას გჩუქნიოთ.

ჩვენი კითხვა ასეთია: რატომ თამაშობს „გურია“ ეროვნულ ჩემპიონატში? რატომ არ იხსნება დებულების დამრღვევი გუნდი გათამაშებიდან?

ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას პასუხი:

— ლანჩხუთის „გურიას“ მთელი საქართველო უნდა დაეხმაროს. როგორმე უნდა შევინახოთ ეს გუნდი. „გურია“ ქართველების სიამაყეა. უჭირთ გურულებს, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით ეს გუნდი არ მოვაკლოთ ეროვნულ ჩემპიონატს და სადმე, როგორმე საჭირო თანხები გამოვნახოთ მათ დასახმარებლად. ფეხბურთის ფედერაცია ვალდებულია, ყველა გაჭირვებულს მხარში დაუდგეს.

— კი მაგრამ, მუდამ ფედერაციის კისერზე ხომ არ იქნებიან?

— ჩემპიონატში ახლა შესვენებაა, მხოლოდ რამდენიმე გამოტოვებული მატჩია ჩასატარებელი. ესენიც დამთავრდება და პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან ერთად გათამაშებაში მონაწილე ყველა კლუბს ვესტუმრებთ, შევხვდებით პრეზიდენტებს, რეგიონის ხელმძღვანელებს, მწვრთნელებს. ჩვენი მიზანი ერთი იქნება, აბსოლუტურად ყველა გუნდისგან მივიღოთ ის გარანტია, რომლის საფუძველზეც გვეცოდინება, რომ რომელიმე მათგანი ჩემპიონატს შუა გზაზე არ გამოაკლდება. მეორე წრესაც ჩავამთავრებთ, მერე კი რეორგანიზაცია დაიწყება. ეს ნაღდია, თუმცა რა სახის, რა შეიცვლება, ამის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ჩემპიონატის სტრუქტურის შემმუშავებელი მუშა ჯგუფი უკვე ჩამოყალიბებულია. ვმუშაობთ, ხალხი თავიანთ პროექტებს აგზავნის, დაინტერესებულნი არიან ფეხბურთის განვითარებით. ჰოდა, ყველა აზრს შევაჯერებთ, საბოლოო სახეს მივცემთ და აღმასკომის სხდომას წარვუდგენთ დასამტკიცებლად. ამის შემდეგ ვილაპარაკოთ. მერე სასჯელებიც ულმობელი იქნება, თორემ ახლა...

— ახლა არ შეიძლება, დასასჯელი დავსაჯოთ?

— დებულების ერთ პუნქტში წერია, რატომ უნდა მოიხსნას გათამაშებიდან დამრღვევი გუნდი. ან იმისთვის, რომ მსაჯებს არ გადაუხდიან გადასახდელს, ანაც მატჩზე გამოუცხადებლობისთვის.

არ მსურს ძველი ფედერაციის საქმიანობას დავუბრუნდე, მაგრამ იძულებული ვარ, კითხვაზე კითხვითვე გიპასუხოთ — „გურია“ რომ გათამაშებიდან მოვხსნათ, არ გვეტყვიან ისინი, თქვენ ოჯახაშენებულები, „ოდიში“ რატომ დაინდეთ, როცა მსაჯებს არ უხდიდა ფულსო?

— ესე იგი, „ოდიში“ მსაჯებს ვერ ისტუმრებდა?

— კი, ეგრეა. ისინი მაშინ არ დასაჯეს.

— გამოდის, რომ „ოდიშის“ გამო „გურიაც“ დაუსჯელი დარჩება.

— გურულებს პირობითი დისკვალიფიკაცია აქვთ ჩემპიონატის ბოლომდე. დავსჯით და „ოდიშს“ გაგვახსენებენ, რა ვუპასუხოთ?

ახლა პირველი წინადადება წაიკითხეთ და მიხვდებით, ძველი ფეხბურთის ფედერაციის რომელ ცოდვაზე ვთქვით. თურმე „ოდიში“ სამსაჯო-საინსპექტორო მომსახურების ფულს არ იხდიდა.

ვინ იცის, მომავალში კიდევ რამდენი ამგვარი ფაქტი გამოაშკარავდება. „გურია“ კი, როგორც ჩანს, ისევ დაუსჯელი დარჩება. ცხრა ფეხბურთელით თამაში ხომ ნებადართულია. ამისთვის ვერავინ შეედავება გურულებს.

კობა ინასარიძე

ანი ალბათ მოიგებენ

ასე დაემთხვა — თვენახევარია, საქართველოს ნაკრებისა და გერმანული „ფრაიბურგის“ თავდამსხმელს ალექსანდრე იაშვილს ბურთი არ გაუგორებია. თითქმის ამდენივე ხანია, „ფრაიბურგს“ ბუნდესლიგაში თამაში არ მოუგია. დაშავდა ჩვენებური და მისი გუნდის საქმეებიც უკან-უკან წავიდა. ამასობაში საქართველოს ეროვნულმა გუნდმა ორი შესარჩევი თამაშის ჩატარებაც მოასწრო — ორჯერვე წააგო. იაშვილი არც რიგაში იყო, არც ათენში.

ფორვარდი მკურნალობს. მას ჯვარედინი იოგები ჰქონდა გაწყვეტილი. ყველანაირი დატვირთვა ტრავმის გამიზეზებას ნიშნავდა. ასე უწევდა იაშვილს იძულებით დასვენება და „ჰამბურგთან“ კალენდარული მატჩის ავად მოგონება. გუშინ კი ალექსანდრე იაშვილმა დაგვაიმედა.

— ორიოდ დღეა, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, გუნდთან ერთად ვემზადები და ეგებ შაბათს „შტუტგარტის“ წინააღმდეგაც ვითამაშო. რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში, „ფრაიბურგის“ მწვრთნელი ფინკე მეუბნება, უნდა გათამაშოო.

— საბოლოოდ მოშუშდი თუ ვარჯიში ნაადრევად დაიწყე?

— ექიმებმა გამსინჯეს, აწი ჩვენგან თავისუფალი ხარ, შეგიძლია აღარაფერს მოერიდოო, მითხრეს. თავს კარგად ვგრძნობ. ფუი ეშმაკს, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა.

— შენს არყოფნაში გუნდის სატურნირო მდგომარეობა რომ გაუარესდა?

— ზედიზედ ოთხი თამაშის წაგება მართლაც მოულოდნელი იყო. ბიჭებს რაღაც დააკლდათ. ოთხიდან სამ შეხვედრაში ვიგებდით, მაგრამ ბოლოსკენ გაგვიჭირდა. ერთი „აინტრახტი“ იყო პირწმინდად რომ დაგვჩაგრა, თორემ სხვებთან, ხომ გითხარით, წესით და რიგით, არ უნდა წაგვეგო.

— ფინკეს წყალი შეუდგებოდა.

— მსგავსი არაფერი. ხალხს ძველებურად უყვარს, პატივს სცემს მწვრთნელს. ყველანი მას ემადლიერებიან, „ფრაიბურგი“ რომ ბუნდესლიგაში აღზევდა.

— ამდენი წაგების მიზეზად, აბა, რას ან ვის ასახელებენ?

— არავის და არაფერს. ეგ დროებითი ჩავარდნაო, ამბობენ. ახლა შაბათის იმედი გვაქვს. „შტუტგარტი“ აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. ეს ფსიქოლოგიურადაც წაგვადგება. ამდენი წაგების შემდეგ ხასიათი გამოგვიკეთდება.

— ბომბარდირებს საკმაოდ ჩამორჩი...

— ამაზე არასდროს მიფიქრია. ბურთი გუნდის სასარგებლოდ გამაქვს და არა პირადი ავტორიტეტისთვის. თუმცა, რა თქმა უნდა, ეგეც კარგი რამაა, ვეცდები, ბომბარდირებს კვლავაც შევუამხანაგდე, ეს თუ მოვახერხე, მეც გავიხარე, ხალხიც და გუნდიც გამოისწორებს სატურნირო მდგომარეობას.

კობა ინასარიძე

ვაგროვებ თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების შეხვედრათა პროგრამებს.

ვეძებ ევროთასებზე „დინამოს“ შინ — „კარდიფ სიტი“, „ტვენტე“, მტკ — და სტუმრად გამართული მატჩების პროგრამებს.

1936-89 წლების საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით გამართული შეხვედრების პროგრამებს.

საქართველოს ნაკრების შინ და სტუმრად ჩატარებული მატჩების პროგრამებს.

ზაურ ძიურჯიევი

გლდანის მასივი, I მიკრორაიონი, მე-8 კორპუსი, ბინა 31. ტელ: 67 09 31

კარგი, მეტად კარგი

თბილისი
25 ნოემბერი
14 საათი
ეროვნული
2 000 (ტევადობა 75 000)

დინამო 2 2:1 ფლორა

1:0 ხიზანიშვილი (42), 1:1 ვიკმიაე (44), 2:1 რუხაძე (67)

დინამო 2: ნიკურაძე, რუხაძე, შაშიაშვილი, საჯაია, აბრამიძე, ო. გველესიანი, ხიზანიშვილი (დ. ტყებუჩავა 86), ლ.ბურდული (ი.შენგელია 81), აფციაური (გონჩაროვი 46), გ. მიქაძე, ვ. გაგუა (ი. ვაშაკიძე 46)

სათადარიგონი: მამალაძე, ბერაია, ვ. კაკაშვილი

ფლორა: ტოჰვერი (კაალმა 46), ალონენი, კირსი, სავიაუკი, როობა (ალასი 80), შვეცი, სმირნოვი, ვიკმიაე, კრისტალი, კიერი (ოკონელ-ბრონინი 70), ობერი

სათადარიგონი: ზელინსკი, პიირეია, მეეტი, ჰაულანდი, რიტკონენი

გაფრთხილებები: კიერი (3), როობა (23), გველესიანი (59)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. დოლიძე, ლ. ფანიაშვილი, ე. სილაგავა (ყველა საქართველო)

პაატა კვანტალიანი

გუშინ ეროვნულ სტადიონზე ძალიან კარგი რამ მოხდა. „დინამო 2“-მა ესტონური „ფლორა“ დაამარცხა. და რა იყო ამ მატჩში კარგი? შედეგი, შედეგი და სხვა არაფერი. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი რასაც წარმოადგენს, ყველამ კარგად ვიცით და როცა ამ ქვეყნის მეორე ჯგუფის გუნდი საზღვარგარეთულ კლუბს ამარცხებს, თუნდაც ისეთი არასაფეხბურთო ქვეყნისას, როგორიც ესტონეთია, თავისთავად სასიამოვნო ფაქტია. სასიამოვნოა, რადგან 15-16 წლის ბიჭებმა უდაოდ კარგი გამოცდილება მიიღეს. ისინი ხომ ფაქტობრივად ესტონეთის ნაკრებს ეთამაშნენ. ვფიქრობ, ამ შედეგმა გარკვეულწილად უკანა პლანზე გადაწია თავად გუნდის თამაშის ხარისხი. მატჩის შემდეგ ქართველი ჭაბუკები თავაწეულნი, მტკიცე ნაბიჯებით ტოვებდნენ სარბიელს. მათ თავიანთი ძალების რწმენა შეემატათ, რწმენა, რომელიც ამ ასაკში ყველაზე მეტად სჭირდება ფეხბურთელს.

ახლა თავად შეხვედრაზე ვთქვათ. მატჩის დაწყებას ქართველების უეცარი აფეთქება მოჰყვა, რაც მხოლოდ ძალუმ მოძრაობაში გამოიხატა. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ მეოცე წუთისთვის დინამოელები დაიღალნენ და მეტოქემაც ბრჭყალები გამოაჩინა. ესტონელებმა აქტიურად იწყეს ფლანგების გამოყენება და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეექმნეს. ჯერ კრისტალის კუთხურს კირსი გამოეხმაურა. მისი თავიერის შემდეგ ბურთი ზემოდან გადასცდა კარს, შემდეგ კი მარჯვენა ფრთიდან საჯარიმოში შეჭრილ ოპერს ნიკურაძემ დაასწრო. დროის იმ მონაკვეთში ესტონელებს ყველაფერი გამოსდიოდათ, დინჯად აკონტროლებდნენ ბურთს და რამდენიმე გადაცემით მეტოქის საჯარიმოსაც უბრძოლველად უახლოვდებოდნენ. აქვე თავი წამოყო ქართველი ფეხბურთელების მარადიულმა სენმა — ბურთის ზედმეტად თრევამ. ამის გამო სტუმრებმა კინაღამ ანგარიშიც გახსნეს. საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს საჯაია გაერთო ბურთით, მას ოპერი წამოეპარა და მეკარესთან პირისპირაც დარჩა, თუმცა უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გააცუდა — ბურთი ოდნავ ასცდა კარს. ამან დინამოელები გამოაფხიზლა. საგრძნობლად გააქტიურდა მიქაძე, ხიზანიშვილმაც თავდასხმაში აინაცვლა და ანგარიშიც გაიხსნა. საჯარიმოში შეჭრილმა ხიზანიშვილმა კედელი გაითამაშა ბურდულთან, ისარგებლა მეკარის შეცდომით (ტოჰვერმა წონასწორობა დაკარგა) და სტუმართა კარი აიღო. ტაიმის ბოლოს კი „ფლორამ“ ტრადიციული ფლანგური შეტევა განახორციელა, ოპერის ჩაწოდებულს კრისტალი დაუხვდა, მისი დარტყმული ბურთი ნიკურაძემ კი მოიგერია, მაგრამ ვიკმიაეს დამატებულზე ვერაფერი გაწყო — 1:1.

მეორე ნახევარი ესტონელთა უპირატესობით დაიწყო და 67-ე წუთამდე ასე გაგრძელდა. თუმც სტუმრები ბევრს განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდნენ — ძირითადად მაღალი გადაცემებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. დინამოელები კი კონტრიერიშების დროს ხშირად რჩებოდნენ თამაშგარეშე მდგომარეობაში. ამასთანავე ქართველ ფეხბურთელებს დაღლაც დაეტყოთ და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მეტოქე ყოველივე ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. მაგრამ დადგა 67-ე წუთი და ერთმა დარტყმამ მატჩის ბედი გადაწყვიტა — დინამოელთა კონტრშეტევა საჯარიმოს სიახლოვეს ალონენმა წესების დარღვევით ჩაშალა. ჯარიმა კი თორნიკე რუხაძემ ოსტატურად შეასრულა და ტოჰვერს შორეულ მარჯვენა კუთხეში გაუტანა.

დარჩენილ დროში მასპინძლებს ანგარიშის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ, თუმცა ამაში ესტონელებსაც მიუძღვით ბრალი. ისინი ოდნავაც არ ცდილან თამაშის გამწვავებას. ალექსანდრე კრიჭაშვილის საფინალო სასტვენმა ქართველთათვის კარგი, მეტად კარგი შედეგი დააფიქსირა.

დინამოელი გიორგი მიქაძე სამი ესტონელის მოტყუებას შეეცადა

18 წლამდელთა ნაკრები მზადებას იწყებს

27 და 29 ნოემბერს, 14 საათზე, შესაბამისად ეროვნულ სტადიონსა და დიღმის ბაზაზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ორ საწვრთნელ მატჩს გამართავს. მთავარი მწვრთნელის ვახტანგ კოპალეიშვილის განკარგულებაში ნაკრების 30 კანდიდატი იქნება. გუნდი პირობითად პირველ და მეორე ნაკრებად გაიყოფა და ერთმანეთს ვაეჯიბრება. ვახტანგ კოპალეიშვილის განცხადებით, მერაბ ჟორდანიასთან მოთათბირების შემდეგ, შემუშავდა 18-წლამდელთა ნაკრების მზადების სამუშაო გეგმა, რომლის თანხმად ჩეხებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის უკეთ მოსამზადებლად ნაკრები მომავალში ყოველთვიური საწვრთნელი შეკრებების მოწყობას და ტურნირებში მონაწილეობას აპირებს. ზემოთ აღნიშნული ორშხრივი მატჩები ნაკრების მზადების ერთ-ერთი ეტაპია და უმთავრესად სელექციისათვის და ამ ასაკში ნიჭიერი ფეხბურთელების გამოსავლენად ტარდება.

ვახტანგ კოპალეიშვილის სამტრედიის „იბერიის“ მთავარ მწვრთნელად დანიშვნის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია, უფრო სწორედ, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა, მისივე თქმით, გამორიცხული არაფერია.

მიხეილ საგახტარაშვილი

1990 წლის 30 მარტი

დღე პირველი, დღე უკანასკნელი?

მიილია საქართველოს მეათე საუბილეო ჩემპიონატის პირველი წრე. თუმცა ერთი მატჩი კიდევ დარჩა ჩასატარებელი. 30 ნოემბერს მე-6 ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში თბილისის „დინამო“ ფოთის „კოლხეთს“ უმასპინძლებს. ამ გუნდების პაექრობით შემოდგომის სეზონიც დამთავრდება და ჩვენი ეროვნულიც მომავალ გაზაფხულამდე გაირინდება.

ახლა უკვე შეიძლება გაანალიზება და დასკვნებისა გაკეთება. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ჩემპიონატის თამაშების შემხედვარეს 1990 წლის 30 მარტი მახსენდება.

იმ დღეს საქართველოს დამოუკიდებელმა ფეხბურთმა არსებობა დაიწყო. ქართული ფეხბურთის ეროვნულ გათამაშებას სული შთაებერა. როგორი ბედნიერები ვიყავით მაშინ, როგორ ამაყად ვუსმენდით ჩვენი ქვეყნის ჰიმნს და თვალცრემლიანი გავყურებდით სამფეროვან დროშას, რომელიც ნელ-ნელა აღმართს ორი ქართული კლუბის ქართველმა კაპიტნებმა.

იმ დღესაც „დინამო“ „კოლხეთს“ მასპინძლობდა და მაშინაც „30“ ციმციმებდა ეროვნულის ტაბლოზე, მაგრამ წლევანდელი 30 ნოემბერი, სამწუხაროდ, ალბათ ვერაფრით მიავ ახლოს იმ 30 მარტთან...

მაშინ სტადიონზე ანშლაგი იყო. 80 ათასი ფეხბურთის ქომაგი პირმშოს დაბადებას ზეიმობდა. ახდა დიდი ხნის ოცნება. ქართულ ფეხბურთად შერაცხულ პირმშოს ათასობით გულშემატკივარის სიყვარული დაენათლა. ვინ იფიქრებდა, რომ ეროვნული ჩემპიონატის ცხრაწლიანი არსებობის მანძილზე ის დღე თავისი მნიშვნელობითა და სიმშვენიერით ერთადერთად დარჩებოდა და მისი მსგავსი აღმაფრენა ერთხელაც არ განმეორდებოდა.

1990 წლის 30 მარტი — ქართული ფეხბურთის ისტორიაში — დღე პირველი, დღე უკანასკნელი...

წავიდა ყველა?

1998 წლის 6 აგვისტოს მეათე ეროვნული დავიწყეთ. 7 აგვისტოს „სარბიელის“ პირველ გვერდზე დიდ ფოტო დაიბეჭდა, რომელზეც „ბორის პაიჭაძის“ სტადიონის ლამის მთლიანი ხედი შემოგთავაზეთ ასევე დიდი სათაურით — „წავიდა ყველა, სხვა ხალხის (არ) ისმის აქ ჟრიამული“.

დიახ, ეს მწარე რეალობა გახლავთ. 6 აგვისტოს პირველი ტურის შეხვედრაში თბილისის „დინამომ“ დებიუტანტ „არსენალს“ უმასპინძლა. ამ მატჩს 500 მაყურებელი დაესწრო. ესე იგი 160-ჯერ ნაკლები ვიდრე რვა წლის წინათ... ეს არც სასაცილოა და არც სატირალი, ამას, უბრალოდ, სახელს ვერ მოუძებნი კაცი.

ამ რვა წლის განმავლობაში ბევრი ფასეულობა გადაფასდა ჩვენს აზროვნებაში, მაგრამ არა მგონია, ქართველ კაცს ფეხბურთის სიყვარული ოდნავ მაინც გაენელებოდა. მაშ, რა მოხდა, სად წავიდა ის ხალხი? ის ხალხი არსად წასულა და რაც მოხდა (და ხდება) ყველამ კარგად იცის. ამის შესახებ უამრავი დაიწერა. არ ღირს იმ მიზეზთა ჩამოთვლა, რამაც დღევანდელი საფეხბურთო ყოფა მოიტანა. ამ სავალალო მდგომარეობის შემოქმედთ 23 ოქტომბრის ფედერაციის ყრილობამ სამართლიანი განაჩენი გამოუტანა. ჯერჯერობით ახალმა ხელმძღვანელობამაც ბევრი სასიკეთო ვერაფერი შემოგთავაზა. მათი მუშაობის შემხედვარე უთუოდ იფიქრებს კაცი — რომ ახლები ევოლუციურ გზას დადგომიან და არა რევოლუციურს. არადა, სიმართლე გითხრათ, გვეგონა, პირიქით მოხდებოდა.

სფფ-ს აღმასკომის შემადგენლობის გაცნობისას ერთი რამ მართლაც მისასალმებელია — იქ თითქმის ყველა ძლიერი ქართული ფირმის წარმომადგენელია, ის ხალხია თავმოყრილი, ვინც საქართველოს ეკონომიკაში ამინდს ქნის და მართავს კიდეც, მაგრამ ერთი რამ უდავოა, ამ ადამიანებს ყველაზე ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქართული ფეხბურთის მომავალი განვითარების საქმეში, რადგან თავიანთი პრობლემებიც უამრავი აქვთ და მათი სფფ-ს აღმასკომის წევრობა მაინც სიმბოლური მგონია. ღმერთმა ინებოს, ვცდებოდე, თითოეულმა მათგანმა ქართული ფეხბურთი უპირველეს საქმედ გაიხადოს და კომერციული თუ მეცენატური საქმიანობით მას სული მოთქმევინოს.

ის ხალხი, ის გულშემატკივარი კი არსად წასულა. დღემდე ძველებურად უყვართ ფეხბურთი და ენატრებათ სტადიონის ტრიბუნებზე ჩამოჯდომა.

ერთგულები

ჩვენი ჩემპიონატის ერთგულებიც დარჩნენ ქომაგთა მხრიდან, მაგრამ ისინი ცოტანი არიან. თუ წლევანდელი გათამაშების პირველი წრის სტატისტიკურ მონაცემებს გადახედავთ, გული მოგიკვდებათ. დღემდე ჩატარებული 15 ტურის 119 შეხვედრას (120-ე „დინამო“ — „კოლხეთის“ მატჩი იქნება), იცით, სულ რამდენი კაცი ადევნებდა თვალს? არც მეტი, არც ნაკლები — 159 400. ესე იგი ჩვენი „ეროვნულის“ ტევადობაზე დაახლოებით ორჯერ მეტი. გამოდის, რომ ერთ მატჩს საშუალოდ 1376 გულშემატკივარი დაესწრო.

ამ მაჩვენებლების მხრივ პირველ ადგილზე ქუთაისის „გივი კილაძის“ სტადიონია. იქ ერთ შეხვედრას საშუალოდ 3500 ფეხბურთის ქომაგი ესწრებოდა. ქუთაისს მართლაც არ აკლია მაყურებელი. თუ შეიძლება ასე ითქვას, იქ ფეხბურთის ბუმია, თუმც ამქვეყნად ყველაფერი შეფარდებითია და სხვა ქალაქების მონაცემებთან შედარებისას გვიჩნდება ეს აზრი. ისე, „ტორპედოს“ გამორჩეული გულშემატკივრები რომ ჰყავს, ესეც ფაქტია. ისინი ხომ საყვარელ გუნდს გასვლით თამაშებზეც დაჰყვებიან. ეს კი, სამწუხაროდ, ჩვენს ჩემპიონატში რატომღაც უცხო ხილად ითვლება.

მაყურებელი უფრო პროვინციულ ქალაქებში აქტიურობს და ფაქტობრივად დედაქალაქის კლუბები ქომაგობას მოკლებულნი არიან. თბილისის პირველი ჯგუფის ექვსი გუნდიდან მხოლოდ „არსენალი“ მოხვდა ექვსეულში (გულშემატკივართა რაოდენობის მხრივ), ისინი მეხუთე საფეხურზე იმყოფებიან. ამის გასამართლებელ არგუმენტად შეიძლება ის მოვიშველიოთ, რომ „ლოკომოტივი“, „ვიტ ჯორჯია“ და თსუ მცხეთაში „არმაზზე“ თამაშობენ, მაგრამ მაშინ რა ვუყოთ „დინამოს“ და „მერანს“. ეროვნულ სტადიონზე და „სინათლეზე“ არც ისე ბევრი ქომაგი მოდიოდა ფეხბურთის სანახავად. ისე, არც მცხეთაა თბილისიდან შორ და მიუდგომელ ადგილს.

„ტორპედოს“ შემდეგ ყველაზე მეტი გულშემატკივარი „ბათუმისა“ და „ოდიშის“ საშინაო მატჩებს ესწრებოდა — შესაბამისად 2312 და 2214 კაცი. ბათუმელ ქომაგთა აქტიურობა გასაგებია, რადგან მათი გუნდი ყოველთვის გამოირჩევა კარგი თამაშით და ჩემპიონატის ხშირ პრიზიორადაც გვევლინება. აი, ზუგდიდელები კი მართლაც ქებას იმსახურებენ, ასე ერთგულად რომ უჭერენ მხარს დაბჩავებულ და უპატრონოდ მიგდებულ „ოდიშს“. თუმცა საკითხავია, როდემდე ეყოფათ მათ ნებისყოფა, ცენტრალურ სტადიონზე უსახურ ბურთაობას უცქერონ?

მეოთხე ადგილზე გორის „დილას“ ქომაგები არიან. გორშიც უზომოდ უყვართ ფეხბურთი. ქართლელებმა გულშემატკივრობაც განსაკუთრებული იციან. მათი წყალობით ფეხბურთელებიც ორმაგი ენერგიით ეთამაშებიან მეტოქეს და ბევრი ტიტულოვანი კლუბიც დასცეს ბეჭებზე. ერთ მატჩზე 2071 კაცი — ასეთია მათი წლევანდელი მაჩვენებელი.

პირველ ექვსეულს ბოლნისელი ქომაგები აგვირგვინებენ. საშუალო მაჩვენებელი — 1625 გულშემატკივარი. ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა „თემურ სტეფანიას“ სტადიონზე, დამეთანხმება, რომ იქ „სიონის“ წინააღმდეგ თამაში გმირობის ტოლფასია. ბოლნისელები მთელი 90 წუთის განმავლობაში სიმღერითა და შეძახილებით ამხნევებენ თავიანთ ფეხბურთელებს და მსაჯებსაც მუხლები უკანკალებთ იმაზე ფიქრით, რაიმე არ შეგვეშალოსო.

დანარჩენ ათ გუნდს დაახლოებით თანაბარი მაჩვენებელი აქვს. თუმცა გასაკვირია ერთი ფაქტი — ყველაზე ცოტა მაყურებელი, 664, დაესწრო თბილისის „ლოკომოტივის“ საშინაო მატჩებს. არადა, რკინიგზელებს ურიგო გუნდი როდი ჰყავთ, მათ ხომ ერთხელაც არ წაუგიათ „დინამოს“ მსგავსად. თუმც „ლოკომოტივი“ მცხეთიდან ვაკის „26 მაისის“ სტადიონზე გადმობარგდა და იქნებ ახლა მაინც იგრძნონ ფეხბურთელებმა გულშემატკივართა სიმრავლე და მხარდაჭერაც.

ასე იყო, თუ ისე, მოდიოდნენ სტადიონებზე ფეხბურთის ერთგული გულშემატკივრები, მხარს უჭერდნენ თავიანთ საყვარელ გუნდებს, მაგრამ...

მოყვარეს პირში უძრახე...

ფეხბურთი, უპირველეს ყოვლისა, გულშემატკივრებისთვის შეიქმნა და არსებობს კიდეც. ფეხბურთს ხალხისთვის სიხარული და სიამოვნება მოაქვს, ღირსების შეგრძნებას გვიორმაგებს და ცხოვრებას გვილამაზებს. მის გარეშე, ალბათ, გაგვიჭირდებოდა არსებობა.

თუმცა ფეხბურთს ბევრი წყენა, ტკივილი და იმედგაცრუებაც მოაქვს. შეულლცა და მტრობაც არაერთხელ ჩამოუგდია ერებს შორის და სტადიონებზეც არაერთი ტრაგედიის მომსწრენიც გავმხდარვართ.

ფეხბურთი ღვთიურთან და მაგიურთან თანაზიარი საოცრებაა. იქნებ ამადაც კია (შემთხვევით?), რომ ფეხბურთში ყველაზე დიდი მიღწევა ანუ უმაღლესი მწვერვალი მსოფლიოს ჩემპიონობა მეტად უცნაური თასით რომ ჯილდოვდება. „გამარჯვების ქალღმერთი“ ჰქვია იმ ოქროს თასს. დიახ, ქალღმერთი. რა გაორებაა, მაგები არიან. გორშიც უზომოდ უყვართ ფეხბურთი. ქართლელებმა გულშემატკივრობაც განსაკუთრებული იციან. მათი წყალობით ფეხბურთელებიც ორმაგი ენერგიით ეთამაშებიან მეტოქეს და ბევრი ტიტულოვანი კლუბიც დასცეს ბეჭებზე. ერთ მატჩზე 2071 კაცი — ასეთია მათი წლევანდელი მაჩვენებელი.

პირველ ექვსეულს ბოლნისელი ქომაგები აგვირგვინებენ. საშუალო მაჩვენებელი — 1625 გულშემატკივარი. ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა „თემურ სტეფანიას“ სტადიონზე, დამეთანხმება, რომ იქ „სიონის“ წინააღმდეგ თამაში გმირობის ტოლფასია. ბოლნისელები მთელი 90 წუთის განმავლობაში სიმღერითა და შეძახილებით ამხნევებენ თავიანთ ფეხბურთელებს და მსაჯებსაც მუხლები უკანკალებთ იმაზე ფიქრით, რაიმე არ შეგვეშალოს.

ეროვნული ჩემპიონატის დაბადების ეროვნული სტადიონი სავსე ტრიბუნებით შეეგება

სარგებლის არქივიდან

დანარჩენ ათ გუნდს დაახლოებით თანაბარი მაჩვენებელი აქვს. თუმცა გასაკვირია ერთი ფაქტი — ყველაზე ცოტა მაყურებელი, 664, დაესწრო თბილისის „ლოკომოტივის“ საშინაო მატჩებს. არადა, რკინიგზელებს ურიგო გუნდი როდი ჰყავთ, მათ ხომ ერთხელაც არ წაუგიათ „დინამოს“ მსგავსად. თუმც „ლოკომოტივი“ მცხეთიდან ვაკის „26 მაისის“ სტადიონზე გადმობარგდა და იქნებ ახლა მაინც იგრძნონ ფეხბურთელებმა გულშემატკივართა სიმრავლე და მხარდაჭერაც.

ასე იყო, თუ ისე, მოდიოდნენ სტადიონებზე ფეხბურთის ერთგული გულშემატკივრები, მხარს უჭერდნენ თავიანთ საყვარელ გუნდებს, მაგრამ...

მოყვარეს პირში უძრახე...

ფეხბურთი, უპირველეს ყოვლისა, გულშემატკივრებისთვის შეიქმნა და არსებობს კიდეც. ფეხბურთს ხალხისთვის სიხარული და სიამოვნება მოაქვს, ღირსების შეგრძნებას გვიორმაგებს და ცხოვრებას გვილამაზებს. მის გარეშე, ალბათ, გაგვიჭირდებოდა არსებობა.

თუმცა ფეხბურთს ბევრი წყენა, ტკივილი და იმედგაცრუებაც მოაქვს. შეულლცა და მტრობაც არაერთხელ ჩამოუგდია ერებს შორის და სტადიონებზეც არაერთი ტრაგედიის მომსწრენიც გავმხდარვართ.

ფეხბურთი ღვთიურთან და მაგიურთან თანაზიარი საოცრებაა. იქნებ ამადაც კია (შემთხვევით?), რომ ფეხბურთში ყველაზე დიდი მიღწევა ანუ უმაღლესი მწვერვალი მსოფლიოს ჩემპიონობა მეტად უცნაური თასით რომ ჯილდოვდება. „გამარჯვების ქალღმერთი“ ჰქვია იმ ოქროს თასს. დიახ, ქალღმერთი. რა გაორებაა, მაგრამ ეს ქალღმერთი ზოგჯერ ტრაგიკული დღეებიც უდგას, ჩემი აზრით, მიზეზი გულშემატკივრებში უნდა ვეძებოთ, უფრო სწორად მათ უსაქციელობაში...

დიახ, სწორედ ვაი-გულშემატკივრებმა მოუტანეს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას 1985 წლის მაისში, ბრიუსელში, „ეიზელზე“ მომხდარი საშინელი და სამარცხვინო ტრაგედია და ბევრი რამ მისი მსგავსი.

ინგლისელი ფანების, იტალიელი ტიფოზების, ესპანელი ინსაჩების ზოგიერთ უღირსი წარმომადგენლის პრობლემა კარგა ხანია, არსებობს და იარსებებს კიდეც, იქნება მანამ, სანამ ფეხბურთი იარსებებს ამქვეყნად, მაგრამ ერთი რამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს — ფეხბურთი რაინდული თამაშია და გამარჯვებაც და დამარცხებაც.

ბაგრატის ტაძრიდან გივი კილაძემდე

ზემოთ ვთქვი, ქუთაისში საფეხბურთო ბუმია და ქართველებშიც არიან უცნაური ქომაგები-მეთქი. ამბავი, რომელზეც ახლა მოგითხრობთ, სპორტული ჟურნალისტის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და აი, რატომ...

ქუთაისში არსებობს ერთი უბანი, რომელსაც ქუთათურები „გორას“ ეძახიან. სახელწოდებიდან გამომდინარე, მკითხველი ადვილად წარმოიდგენს ამ უბნის ადგილმდებარეობას. იგი მაღლობზეა განლაგებული და მთელ ქალაქს ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით გასდევს. სწორედ იმ, არქიელის გორაზეა ლაპარაკი, სადაც აღმართულია IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლი — ბაგრატის ტაძარი.

ამ უბანში ცხოვრობს ფეხბურთზე და მშობლიური ქალაქის გუნდზე სიგიჟემდე შეყვარებული ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შარშანდელი სეზონის პირველი წრის „ტორპედო“ — „დინამოს“ მატჩის შემდეგ ფიცი დადო, რომ იმ დღიდან სტადიონზე მისი ფეხი აღარ იქნებოდა მანამ, სანამ „ტორპედო“ ევროსარბიელზე არ გავიდოდა. ტრიბუნიდან ქომაგობას განდგომილი თამაშის დღეს გამოდიოდა სახლიდან, ადიოდა არქიელის გორაზე და გარინდული უგდებდა ყურს „გივი კილაძიდან“ მომავალ ხმებს.

— როცა ხალისიან და მძლავრ ყიჟინას გავიგებდი, ვხვდებოდი, რომ „ტორპედომ“ გოლი გაიტანა და მეც ვზეიმობდი, ხოლო თუ ყვირილსა და უწმაწურ გულისწყრომას მოვკრავდი ყურს, ვფიქრობდი, ალბათ, მსაჯი სცოდავს ან ბიჭები ცუდად თამაშობენ-მეთქი. ღმერთს ვევედრებოდი ჩემი გუნდის გამარჯვებასო — მითხრა „ტორპედო“ — „ერებუნის“ მატჩის წინ იმ ქუთათურმა გულშემატკივარმა, თანაც დაამატა — ეს რა არის იმასთან შედარებით, რასაც „ტორპედოს“ გულშემატკივრების შესახებ შეიტყობო.

აქ კომენტარი ნამდვილად ზედმეტია.

მაშ, დავუბრუნოთ ქართულ ფეხბურთს ძველი დიდება, სტადიონებს კი — გულშემატკივრები.

ხვიჩა სანიკიძე

ახალი რუსები

UEFA CUP

უეფას თასის მერვედფინალის პირველი მატჩების მიმოხილვა

განგებამ ისე ინება, რომ 3 ნოემბერს იტალიის ქალაქ სალერნოში მდებარე სტადიონ „არჩიზე“ მავანმა გულშემატკივარმა „გრასჰოპერს“ ხელის ერთი მოქნევით ჩამოაცალა გზიდან მრისხანე „ფიორენტინა“. ტრაპატონის, ბატისტუტას და ედმუნდოს „ფიორენტინა“.

გუშინწინ, ყველასთვის მოულოდნელად უეფას თასის მერვედფინალში გასულმა „გრასჰოპერმა“ საფრანგეთის ჩემპიონობისთვის გაცხარებით მებრძოლ „ბორდოს“ უმასპინძლა და უკვე მე-19 წუთზე 0:2-ს აგებდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, „კალიები“ მეტოქეს ვერაფრისდიდებით გადაახტებოდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად.

გოლი, საფეხბურთო ემოციებდაწლუნგებული (მათდა უნებურად) ქართველების გასახარად, მიხეილ ყაველაშვილმა გაიტანა. გაიტანა და „გრასჰოპერიც“ გამოაცოცხლა. მალე გამოცდილმა ჭუბილაი თურქილმაზმა ამას ერთიც დაუმატა და გუნდებიც შესვენებაზე 2:2-ზე გავიდნენ.

მეორე ნახევარი მასპინძლების სრული უპირატესობით დაიწყო. სტადიონზე შეკრებილი სულ რაღაც 10 ათასი ქომაგი მესამე გოლმა ძლიერ გაახარა — კომიზეტიმ იყოჩაღა. მეოთხედფინალისკენ მიმავალი გზაც ასე თუ ისე გამოჩნდა, მაგრამ „ბორდოს“ ერთი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, მეტოქის გარჯას წამში რომ ყრის წყალში. მას სილვან ვილტორდი ჰქვია, საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლეა, შვეიცარიელებსაც „ბორდოს“ მესამე და თავისი მეორე გოლიც სწორედ მან გაუტანა და შეხვედრაც „გრასჰოპერისთვის“ არასასიამოვნოდ დაასრულა.

საპასუხო მატჩი საფრანგეთში მეტად მძიმე იქნება ციურიხული კლუბისთვის, მაგრამ მაინც, იმედი ვიქონიოთ, რომ უეფას თასის მეოთხედფინალში გასული სეზონის დარად (მაშინ ამ ეტაპს შოთა არველაძემ და „აიაქსმა“ მიაღწიეს), კვლავ გააგორებს ბურთს ქართველი ფეხბურთელი.

სამი კვირის წინ მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები მეტად დაძაბული და უხეში გამოდგა — გაუქმდა ერთი შეხვედრის შედეგი და მსაჯებს ათჯერ მოუხდათ წითელი ბარათის აფრიალება.

მშვიდ ატმოსფეროში არც გუშინწინდელ თამაშებს ჩაუვლია, მართალია, არც ერთი მათგანი არ შეწყვეტილა, მაგრამ ხუთ ფეხბურთელს მაინც მოუწია დროზე ადრე მინდვრის დატოვებამ.

ამ ხუთი მოთამაშიდან არბიტრმა ორი „ლუი II-ის“ კეკლუც სტადიონზე გააძევა. საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „მონაკოს“ და „მარსელის“ შეხვედრის დაწყებამდე მსაჯის ოთახს ერთ-ერთი ჯიბესქელი მონაკოელი მოქალაქე ეწვია და იქიდან ჯიბეცარიელი გამოვიდა. თუმცა სჯობს, ყველაფერზე თანმიმდევრობით ვისაუბროთ.

მატჩის დასაწყისმა, ალბათ, ყველას წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ნოსტალგია აღგვიძრა — „მარსელის“ კაპიტანი ლორან ბლანი მაშინ თანაგუნდელ, გუშინწინ კი მეტოქე გუნდის კაპიტან ფაბიენ ბარტეზს კვლავ ეამბორა მოტვლეპილ თავზე, თუმცა თავად მატჩი ბარტეზ-ბლანის ურთიერთობასავით ჰარმონიული ნამდვილად არ იყო და ამის მთავარი შემოქმედი სწორედ არბიტრი გახლდათ.

სტუმართა ფორვარდის ფლორიან მორისის მე-10 წუთზე გატანილი გოლიდან 7 წუთი იყო გასული, მონაკოელი ვიქტორ იკბება მოწინააღმდეგის საჯარიმოში რომ შეიჭრა და ბლანთან ბრძოლისას თავისი ინიციატივით წაიქცა. მსაჯმა საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერებს სრულიად დაუშსახურებლად მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — თერთმეტმეტრიანი, რომელიც არგენტინული წარმოშობის მსოფლიოს ჩემპიონმა დავიდ ტრეზეგემ სისრულეში მოიყვანა.

გაიხარეს მასპინძლებმა, მაგრამ დიდხანს არ დასცალდათ — პირველი ტაიმის მიწურულს შავკანიანმა ტიტი კამარამ მეორედ დააწყებინა მათ ცენტრიდან 1:2.

მეორე ნახევარი ძალიან დაძაბული გამოდგა. ძნელია იმის თქმა, ამის ბრალი იყო თუ არა, მაგრამ მსაჯმა კიდევ ორი ხუნში შეცდომა დაუშვა და ორივე „მონაკოს“ სასარგებლოდ. ჯერ იყო და რომელიღაც ზღვისპირელის დარტყმული, კარში მიმავალი ბურთი მასპინძელთა მცველს საჯარიმოში ხელზე მოხვდა, რაც მსაჯმა ურეაქციოდ გაატარა, მერე კი, როდესაც მეტოქეებმა მინდორზე რამდენჯერმე საქმის ძველბიჭურად გარჩევა მოაწყვეს, იგი სულ დაიბნა და სრულიად უდანაშაულო და უმანკო შესახედაობის მქონე ფლორიან მორისი გასახდელის გზას გაუყენა. რამდენიმე წუთში კი სინდისმა შეაწუხა და მორისს მასპინძელი ფრანკ დიუმაც მიაყოლა. ამ ორომტრიალში ლუდოვიკ ჟიულის ანგარიში გაექვითა. მატჩიც ასე დასრულდა — 2:2.

— სტუმრად გატანილი ორი გოლი, თანაც ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში, „მონაკოს“ დონის მეტოქესთან ძალიან დიდი წარმატებაა. მართალია, მსაჯი ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ, ვფიქრობ, მატჩი საინტერესო გამოდგა. ვიმედოვნებ, ორი კვირის შემდეგ „სტად ველოდრომზეც“ („მარსელის“ სტადიონი) ლამაზი ბრძოლა გაჩაღდება და ჩვენ მოვიგებთ — მარსელელთა თავკაცი როლან კურბისი შეგირდების თამაშით კმაყოფილი ჩანდა. არცთუ უმიზეზოდ.

ერთი სიტყვით, 8 დეკემბერს მარსელში დიდი ფეხბურთი გველის.

ისევე, როგორც „ლუი II-ზე“, სან სებასტიანის „ესტადიო ანოეტაზეც“ ერთი ქვეყნის ორი კლუბი შეხვდა ერთმანეთს და მსაჯმა აქაც ორი ფეხბურთელი გააგდო, ოღონდ ამ შემთხვევაში ორივე ერთი გუნდის — მადრიდის „ატლეტიკოს“ ღირსებას იცავდა. სტეფანო ტორიზიც და კარლოს აგილერაც ინგლისელმა მსაჯმა გრემ პოლმა მეორე ტაიმში გაამეკა, მანამდე კი, როდესაც მატჩი სულ ახალდაწყებული იყო, „სოსიედადმა“ მოულოდნელი დარტყმა იწვნია — მე-3 წუთზე რატომღაც მარიო ზაგალოს მიერ დაწუნებულმა ჩია ჟუნინიომ ბურთი ცენტრში მიიღო, სწრაფად მიუახლოვდა მეტოქის კარს, რომელიც 25 მეტრიდან დალაშქრა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ზაგალოს ზაფხულში გვარიანად შეეშალა.

ამას ბასკების გაფორებული შეტევები მოჰყვა. განსაკუთრებით შარშან არტურ ჟორჟეს შეურაცხმყოფელი პორტუგალიელი რიკარდო სა პინტუ აქტიურობდა, ვისი გარჯაც 45-ე წუთზე დარკო კოვაჩევიჩმა საპასუხო გოლად აქცია.

მეორე ნახევარი ისე დაიწყო, ფრე გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ აქ საქმეში არბიტრი ჩაერია და სტუმრები ჯერ ათნი, შემდეგ კი ცხრანი დატოვა. მოედანზეც ნათლად გამოჩნდა, რომ „სოსიედადს“ ორი კაცით მეტი ჰყავდა — ბურთი ძირითადად მადრიდელთა ნახევარზე ტრიალებდა. მიუხედავად ამისა, მოლინას კარი ხელუხლებელი რჩებოდა. დარჩებოდა კიდეც, რობერტო ფრესნედოსოს 85-ე წუთზე თავის კარში რომ არ გაეტანა. მან ეს ისე ოსტატურად მოახერხა, თვით პიერ ისას და იური კოფუტუნსაც კი შეშურდებოდათ.

მეხუთე ფეხბურთელი ლიონში გააძევეს, სადაც „ლიონი“ ბელგიურ „ბრიუგეს“ მასპინძლობდა. ეს მაშინ მოხდა, პირველ ნახევარში მსაჯის მიერ დამატებული დრო რომ მიმდინარეობდა — მასპინძელთა შვეიცარიელი თავდამსხმელი მარკო გრასი მეტოქის მცველ მილან ლესნიაკს უხეშად მოექცა და წითელი ბარათიც დაიმსახურა. ორიოდ წუთით ადრე კი შეხვედრის ერთადერთი გოლი გავიდა — ალან კავეგლიას ჩაწოდებულს პოლონელმა იაცეკ ბაკმა დროზე მიუსწრო.

— ათნი რომ დავრჩით, მერე გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ნორმალურ შედეგსაც მივაღწიეთ და თუ ბელგიაშიც ასე ერთსულოვნად და შემართებით ვიმოქმედებთ, მაშინ არანაირი პრობლემა აღარ გვექნება — „ლიონის“ გამთამაშებელი ვიკაშ დორასო უკვე მეოთხედფინალზე ფიქრობს.

ფიქრობს კი არა, ფაქტობრივად უკვე შემდეგ ეტაპზეა იტალიური „ბოლონია“. რობერტო ბაჯოს გარეშე დარჩენილმა ბოლონიელებმა სამშაბათს დიდებულად ითამაშეს და ხავიერ კლემენტეს „ბეტისი“ შინ შერცხვენილი გაუშვეს. ამაში ლომის წილი რუსმა იგორ კოლივანოვმა დაიდო, რომელიც მინდორზე რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა.

რუსმა ფორვარდმა ოთხივე გატანილ გოლში მიიღო მონაწილეობა. თანმიმდევრობით მივყვეთ: 25-ე წუთი — კოლივანოვი ბურთს დავიდ ფონტოლანს უტოვებს, ამ უკანასკნელის ძლიერად დარტყმული ჯერ ძელს ხვდება და ისე გადის კარში. 53-ე წუთი — ტანწერწეტა კენეტ ანდერსონმა, რომელიც წინა ცხოვრებაში ნაღდად წერო იყო, თავით მოძებნა რუსი თანაგუნდელი, მან ბურთი ხელით გააჩერა და ისე გაზარდა ანგარიში. მსაჯმა ვერაფერი დაინახა — 2:0. 59-ე წუთი — კოლივანოვი უძლიერესად ურტყამს, ბურთი ზედა ძელს ხვდება და დამატებაზე ბრაზილიელი ერიბერტო უშეცდომოდ თამაშობს. 74-ე წუთი — ბურთი კვლავ რუსს აქვს, ძალიან ლამაზად, ქუსლით უტოვებს მას იმავე ფონტოლანს და ანგარიში 4:1 ხდება. ამ გოლამდე 12 წუთით ადრე ესპანური ფეხბურთის იმედმა ბენჯამინ სარანდონამ პრესტიჟის გოლი გაიტანა.

„ბოლონია“ მშვენიერ ფორმაშია და სექტემბრის შუა რიცხვების შემდეგ არც ევროტურნირებში, არც სერია A-ში და არც იტალიის თასზე არ დამარცხებულა. ვერაფერს იტყვი, ბრწყინვალე შედეგია და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, „ბოლონიამ“ არც სევილიაში უნდა წააგოს.

გასულ უქმეებზე მოსისხლე მტერ „სელტიკთან“ საქვეყნოდ შერცხვენილმა 1:5 „რეინჯერსმა“ ძალები მოიკრიბა და გუშინწინ 49514 ფანის თვალწინ ვარსკვლავებით გადაჭედილ „პარმას“ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

სტუმართაგან არგენტინული ტრიო — ვერონი, კრესპო, ბალბო გამოირჩეოდა, რომელიც შოტლანდიელთა დაცვას მთელი მატჩის განმავლობაში აწიოკებდა. ამან შედეგიც გამოიღო და ტრიოდან ყველაზე უფროსმა, აბელ ბალბომ პარმელები დააწინაურა. ბალბოს გოლმა იტალიელებზე ცუდად, ხოლო გლაზგოელებზე დადებითად იმოქმედა და უპირატესობას ნელ-ნელა მასპინძლები დაეუფლნენ. საპასუხო წარმატებამაც არ დაახანა — არგენტინელის გატანილი გოლიდან 17 წუთში უკვე შოტლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირ როდ უოლესს ულოცავდნენ თანაგუნდელები — 1:1. მეტოქეებს კიდევ თითოჯერ შეეძლოთ ერთმანეთის დამწუხრება — მსაჯის მიერ დამატებულ დროში ჯერ შეცვლაზე შესულმა გორდონ დიურომ თავით ვერ გაიტანა ოთხი მეტრიდან, შემდეგ კი ასევე შეცვლაზე შესულ სტეფანო ფიორეს ანტი ნიემის სასწაულებრივად აუღო.

— „პარმა“ მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ თუ ჩვენ განმორებით შეხვედრაშიც ისე ვითამაშებთ, როგორც დღეს, უეჭველად გავალთ მეოთხედფინალში — ოპტიმისტური განცხადება გააკეთა გლაზგოელმა ჰოლანდიელმა დამრიგებელმა დიკ ადვოკაატმა.

— მოგება შეგვეძლო, მაგრამ სტუმრად ფრეც არ მიმაჩნია ერიბერტოს. ახლა მთელი ყურადღება მ. ლ. ეომბრის მატჩზე უნდა გადავიტანოთ და ქომაგებს დაეუბნეკიცოთ, რომ შოტლანდიელებზე ძლიერნი ვართ — გამოეხმაურა ადვოკაატის

სელტა — ლივერპული. მოსტოვოი და მაზინიო ოუენისთვის (შუაში) ბურთის წართმევას ცდილობენ

სიტყვებს მისი იტალიელი კოლეგა ალბერტო მალეზანი.

ცუდად დაიწყო და მშვენივრად დასრულა „ლივერპულთან“ შეხვედრა „ესტადიო ბალაიდოსზე“ ვიგოს „სელტამ“. კვლავ გაიბრწყინა რუსმა ალექსანდრ მოსტოვოიმ, რომლის სანაცვლოდაც ესპანელებს „მილანი“ 10,5 მილიონ დოლარს უხდის, ხოლო ტურინის „იუვენტუს“ ოვი მძიმედ დაშავებული ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად სურს. თუმცა თავად მოსტოვოის აზრი კარიერის უფრო სახელოვან კლუბში გაგრძელების თაობაზე ჯერჯერობით უცნობია.

როგორც უკვე ვთქვით, „სელტამ“ ცუდად დაიწყო, ანუ „ლივერპულმა“ დაიწყო კარგად. ანგარიშიც სწორედ ინგლისელებმა გახსნეს — ბოლო დროს არაფრით გამორჩეულმა მაიკლ ოუენმა გამოიჩინა თავი. მაგრამ მეორე ტაიმში მასპინძლები გამოცოცხლდნენ და ჯერ მოსტოვოიმ, მერე მისმა თანამემამულე ვალერი კარპინმა იმარჯვეს. ბოლოს კი, როდესაც მსაჯი წამზომს დაჰყურებდა, ნორვეგიელი ბიორნ კვარმეს შეცდომით შეცვლაზე შესულმა ვლადიმირ გუდელმა ისარგებლა, ანგარიშში სხვაობა კიდევ უფრო სოლიდური, ხოლო „სელტას“ შემდგომ ეტაპზე გასვლა უფრო რეალური გახადა.

დაახლოებით 93-ე წუთი მიმდინარეობდა, რომის ოლიმპიურ სტადიონზე მსაჯმა მეტად საეჭვო პენალტი რომ დანიშნა. ბურთთან ფრანჩესკო ტოტი მივიდა და უსახელო მეტოქეს ერთადერთი გოლი გაუტანა. ასე გაჭირვებით მოუგო „რომამ“ შვეიცარიულ „ციურიხს“.

კი, სჯობდნენ იტალიელები სტუმრებს და გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მათ შეტევებს რაღაც აკლდა, თითქოს დარწმუნებულნი იყვნენ ციურიხელთა დამარცხებაში. სწორედ ეს აღნიშნა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მამამ ჩეხმა თაკკაცმა, სკანდალების მოყვარულმა ზდენეკ ზემანმა.

— ის, რომ დღეს ცუდად ვითამაშეთ, არა მეტოქის, არამედ ჩვენი ბრალია. სულ მეშინოდა, რომ შეხვედრა უგოლოდ დასრულდებოდა. თუმცა, ჩემდა სასიხარულოდ, ასე არ მოხდა. დღევანდელ შეცდომებს აუცილებლად გავითვალისწინებთ და მინდა, იტალიელი ქომაგები დავამშვიდო — ორ კვირაში ისინი სრულიად განსხვავებულ „რომას“ იხილავენ.

დავით კოვზირიძე

REUTERS მონაკოდან

მონაკო — მარსელი. შეხვედრა წარსულთან

უეფას თასი. მერვედფინალი

პირველი მატჩები. 24 ნოემბერი

UEFA CUP

რეინჯერსი (შოტლანდია)— პარმა (იტალია)	1:1
ბოლონია (იტალია) — ბეტისი (ესპანეთი)	4:1
გრასჰოპერი — ბორდო (საფრანგეთი)	3:3
რომა (იტალია) — ციურიხი (შვეიცარია)	1:0
მონაკო (საფრანგეთი) — მარსელი (საფრანგეთი)	2:2
სოსიედადი (ესპანეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი)	2:1
ლიონი (საფრანგეთი) — ბრიუგე (ბელგია)	1:0
სელტა (ესპანეთი) — ლივერპული (ინგლისი)	3:1

გერმანია

გადადებული მატჩები

შალკე 1:2 ვერდერი

0:1 ტოდტი (55), 0:2 ჰერცოგი (59), 1:2 ვან კერკჰოვენი (86)

შალკე: შობერი, ა.მიულერი, აიგენრაუხი, ვან კერკჰოვენი, გუსენსი (ანდერბრიუგე 74), ნემეცი, ტაპალოვიჩი (ლატალი 65), ბიუსკენსი, მულდერი, აიკელკამპი (კმეჩი 65), მაქსი

ვერდერი: ფ.როსტი, ბენკენი, სკრიპნიკი, ტოდტი, აილტსი, ვიდნერი, ტრარესი, ა. ჰერცოგი (ვოიტალა 86), ბოდე, ბოგდანოვიჩი (ფლო 46)

გაფრთხილება: ტაპალოვიჩი, ფლო, ჰერცოგი

მსაჯი: ბუხჰარტი

დორტმუნდი 2:1 ჰამბურგი

1:0 სალუ (27), 1:1 იეპსენი (58), 2:1 კოლერი (87)

დორტმუნდი: კლოსი, ჟულიო სეზარი, ნიეგუსი, კოლერი, როიტერი (რიკენი 61), ფროინდი, ჰესლერი (კ. ბაუმანი 90), დედე, მიოლერი, ბარბარესი (შაპუიზა 46), სალუ

ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ფოგელი, ჰოოგმა, ჰერტჩი (ბიოგერი 61), გროთი, შპიორლი (ბაბატცი 46), გრავესენი, იეპსენი, ჰოლერბახი, დალინი, იებოა (კერიაკოვი 80)

გაფრთხილება: ბაბატცი, ბიოგერი, დალინი, გრავესენი, ჰოოგმა

მსაჯი: შტარკი

სამშაბათს ბუნდესლიგის ჩემპიონატის ორი გამოტოვებული მატჩი გაიმართა. „დორტმუნდი“-„ჰამბურგის“ მეათე ტურის შეხვედრა 30 ოქტომბერს უნდა შემდგარიყო, მაგრამ კოკისპირული წვიმის გამო მუნდმა“ მთელი ძალით შეუტია. სალუს და შეცვლაზე შესულ შაპუიზას რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე შანსი ჰქონდათ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ ივარგეს. მასპინძლებს მშველელად 33 წლის მცველი იურგენ კოლერი მოევლინათ, რომელმაც 87-ე წუთზე დაახლოებით 20 მეტიდან უძლიერესი დარტყმით თავის გუნდს ზედიზედ მეხუთე საშინაო გამარჯვება მოუტანა.

თამაშის შემდეგ მასპინძელთა გახარებული თავკაცი მიხაელ სკიბე ემოციებს ვერ ფარავდა: „პირველ ტაიმში გუნდის თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. შეუდარებელნი ვიყავით. „ჰამბურგმა“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, ანგარიში გაგვითანაბრა, მეტის მიღწევასაც ცდილობდა, მაგრამ ბიჭები ისე თამაშობდნენ, დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან გავიტანდით და მოვიგებდით.“

ამ გამარჯვების შემდეგ „დორტმუნდმა“ მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო „ჰამბურგმა“ ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია ექვსამდე გაზარდა.

ფელიქს მაგათის ხელმძღვანელობით მეორედ გაიმარჯვა „ვერდერმა“. პირველად ეს წინა ტურში ფრანკფურტში მოხდა. ბრემენელებმა ამჯერადაც სტუმრად მოიპოვეს სამი ქულა. ანგარიში 55-ე წუთზე გაიხსნა. ბოდემ სამი მეტოქე ჩამოიცილა და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დატოვებულ ტოდტს გაატანინა. ოთხ წუთში ჰერცოგმა გაორმაგა სხვაობა. სტუმრებს ამის შემდეგაც შეეძლოთ შობერის კარის დალაშქვრა, მაგრამ ბოდეს დარტყმული ბურთი, ისევე, როგორც ჰერცოგისა, ძელმა მოიგერია. მასპინძლებმა მატჩის მიწურულს ერთი ბურთის გაქვითვაღა შეძლეს.

REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — შალკე. იურგენ კოლერი (მარჯვნივ) დაცვაშიც მარჯვე იყო და თავდასხმაშიც

24 ნოემბრისთვის გადაიდო, ისევე, როგორც „შალკე“-„ვერდერის“ მეთორმეტე ტურის მატჩი.

„დორტმუნდს“ თამაშის წინ ბრაზილიელი ჟულიო სეზარი დაუბრუნდა. 35 წლის ცენტრალური მცველი ექვსი თვის წინ შობლიურ „ბოტაფოგოში“ გადავიდა, მაგრამ გერმანულ კლუბთან განშორება გაუჭირდა და დაბრუნება ისურვა. ბრაზილიელის ხელმეორე დებიუტი ბუნდესლიგაში წარმატებული გამოდგა. „დორტმუნდმა“ ბოლო ოთხ მატჩში მესამედ მოიგო, ხოლო სეზარი მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ.

მთელი შეხვედრა მასპინძელთა უდიდესი უპირატესობით წარიმართა, თუმცა გამარჯვების მოპოვება ბოლო წუთებზე კოლერის მიერ გატანილი გოლით შეძლეს. არადა, უკვე მეოცე წუთზე ანგარიში 3:0 მაინც უნდა ყოფილიყო. სამჯერ მიოლერს და თითოჯერ ჰესლერსა და ფროინდს რეალური მომენტები შეექმნათ, მაგრამ „ჰამბურგი“ ხან მეკარე ბუტმა გადაარჩინა, ხანაც შემტევთა უზუსტობამ. 27-ე წუთზე კი სტუმრებს ველარავინ უშველა. 891 წუთიანი უშედეგო მონდომების შემდეგ „დორტმუნდის“ ტოგოელმა თავდასხმელმა ბაშირუ სალუმ კვლავ გაიხარა გატანილი გოლით. „ჰამბურგს“ ერთ წუთში შეეძლო გათანაბრება, მაგრამ მარტინ დალინს დარტყმა არ გამოუვიდა. მასპინძელთა უპირატესობის მიუხედავად, სტუმრებმა მაინც მოახერხეს ბურთის შეგდება. 58-ე წუთზე „ჰამბურგმა“ მეტოქე კონტრშეტეგაზე გამოიჭირა და იეპსენმა ახლო მანძილიდან გაქვითა. ამის შემდეგ „დორტმუნდი“-ს „ჰამბურგი“-ს

პირველი ტაიმი კი „შალკეს“ უპირატესობით წარიმართა. აიკელკამპსა და მულდერს რეალური შესაძლებლობებიც მიეცათ, მაგრამ მიზანმა ორივეს უმტყუნა. 37-ე წუთზე ბრემენელთა საჯარიმოში ვიკმა ხელით ითამაშა, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, რითაც მასპინძლები გაანაწყენა.

— ძალიან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. დღევანდელი მატჩი ლატარიას ჰგავდა. ვინც პირველი გაიტანდა, ის მოიგებდა. სამწუხაროდ, მეტოქემ დაგვასწრო, არადა, გოლის გატანის უამრავი შანსი გვქონდა — „შალკეს“ მთავარი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი დაკარგულ სამ ქულას მისტიროდა.

ვანო ოძროპირიძე

ბაიერნი	13	10	1	2	32:11	31
ლევერკუზენი	14	8	5	1	34:15	29
მიუნხენ 1860	14	8	3	3	26:17	27
ლაუტერნი	14	8	3	3	21:22	27
დორტმუნდი	14	6	4	4	21:14	22
ვოლფსბურგი	14	5	6	3	26:19	21
ჰერტა	14	6	2	6	18:16	20
ჰამბურგი	14	4	6	4	17:16	18
შტუტგარტი	14	4	5	5	18:17	17
ბოხუმი	14	5	2	7	18:23	17
აინტრახტი	14	4	4	6	18:22	16
ფრაიბურგი	14	3	6	5	17:21	15
დუისბურგი	14	3	6	5	15:22	15
ნიურნბერგი	14	2	8	4	18:26	14
შალკე 04	14	3	5	6	14:22	14
ვერდერი	14	3	4	7	18:21	13
ჰანზა	14	2	5	7	19:29	11
გლადბახი	13	2	3	8	19:36	9

ეს იყო რაჯამანგალა პისეკზე

REUTERS ბანგკოკიდან

რაჯამანგალა პისეკზე დაუნდობლად სცემდნენ ერთმანეთს

ტაილანდისა და ყატარის ნაკრებებს შორის ამხანაგური შეხვედრა დაიწყო, მაგრამ არ დამთავრებულა. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს გუნდები ახლაც თამაშობენ, პირიქით, იგი დროზე ადრე, მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეწყდა.

რა უნდოდათ ტაილანდელებსა და ყატარელებს? თავდაპირველად დეკემბერში დანიშნული აზიის თამაშებისთვის მომზადება, მერე კი მოწინააღმდეგისთვის ცხვირ-პირის დანაყვა.

ეს ამბავი, „რაჯამანგალა პისეკის“ სტადიონზე ბანგკოკში მოხდა.

მოწმეები ამბობენ, რომ ჩხუბი და მეორე ტაიმი თითქმის ერთდროულად დაიწყო. მეორე ტაიმმა სულ ცოტათი დაასწრო მუშტიკრივს.

ყველაფერში დამნაშავე კი ტაილანდელი მსაჯი ეკაჩაი თანატდერნკოა ყოფილა. ეკაჩაიმ ყატარელ მოთამაშეს მინდორი დაატოვებინა, უფრო სწორედ სცადა, მაგრამ გაგონილა, გაძევებულს ძვრაც ვერ უყო.

ერთმა ტაილანდელმაც მოიწადინა საქმეში ჩარევა, მიეჭრა გაჯიქებულს და მუჯლუგუნი ჰკრა, პასუხად კი მასობრივი კონტრმუჯლუგუნები მიიღო.

არიქაო, იხუვლეს მაყურებლებმა. ზოგი მინდორზე გადაეშვა, ზოგმა ბოთლი ისროლა, ზოგიც ვიღაცას ეძგერა.

„ეს თამაში ასე არ უნდა დამთავრებულიყო“ — ბრძნულად განაცხადა ჩხუბის შემდეგ მავანმა ტაილანდელმა ჩინოსანმა — „ნამდვილად ვერ გეტყვით დასჯიან თუ არა ჩვენს გუნდს“.

ზოგადად, ტაილანდური ფეხბურთი ერთობ სასეირო რამ გახლავთ. მაგალითად, სექტემბერში, „ვეფხვის თასზე“ ტაილანდისა და ინდონეზიის ნაკრებებმა ყველა ღონე იხმარეს ერთმანეთისთვის გოლი რომ არ გაეტანათ, რისთვისაც პირველნი 10 ათასი დოლარითა და ერთთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ.

მოგებას რად ერიდებოდნენო, იკითხავს ვინმე. სამე ისაა, რომ ჯგუფური ტურნირიდან ორივენი გასულები იყვნენ, გამარჯვებულს კი შემდეგ ეტაპზე ვიეტნამთან თამაში მოუწევდა, რაც სურდათ.

„ეს ჩხუბი, აზიის თამაშებზე გავლენას არ იქონიებს. ტაილანდელებსა და ყატარელებს ჩინებული ურთიერთობა გვაქვს“ — თავი დაიზღვია ყატარელმა დიდმოხელემ.

აზიის თამაშები 6-20 დეკემბერს ბანგკოკში გაიმართება. მასში 43 ქვეყნის 41 ათასი სპორტსმენი და ოფიციალური პირი მიიღებს მონაწილეობას.

პაპუნა კედია

დანკან დაუმორჩილებელი

სარბიელის არქივიდან

დანკან ფერგუსონი

— დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები შემიყვარებენ. მწამს, შემიძლია ქომაგთა კერპი გავხდე — შოტლანდიელმა დანკან ფერგიუსონმა „ნიუკასლ იუნაიტედში“ ომახიანად შეაბიჯა.

სამშაბათს, 24 ნოემბერს, რუუდ გულიტმა ახალი ფეხბურთელი შეიძინა — სქოთი დანკან ფერგიუსონი, აქამდე ლივერპულის „ევერტონის“ ღირსებას რომ იცავდა, ამიერიდან „ჯორდი“ (ნიუკასლელთა მეტსახელია) გახდება. მოთამაშემ ახალ კლუბთან კონტრაქტი, და თანაც საკმაოდ სარფიანი, სამშაბათსვე გააფორმა.

— ჩვენ ფერგიუსონი იმისთვის მოვიყვანეთ, რათა მან თავდასხმაში ალან შირერთან ერთად უძლიერესი წყვილი შექმნას — კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა ფრედი ფლეტჩერმა ხალხს გააცნო ის მიზეზი, რის გამოც ჩრდილოინგლისურმა კლუბმა შოტლანდიელ თავდამსხმელში 8 მილიონი გირვანქა ანუ 13,3 მილიონი დოლარი გადაიხადა.

მაინც ვინაა დანკან ფერგიუსონი? საიდან მოვიდა?

იგი ტიპიური შოტლანდიელია. მაღალი, ბრგე, ამასთანავე ამბიციური, თავისუფლებისმოყვარე და ამაყი. „ევერტონში“ თამაშისას მას „დანკან დაუმორჩილებელს“ ეძახდნენ.

ფეხბურთის თამაში სამშობლოში დაიწყო. თავდაპირველად ფიზიკურად ძლიერი ფერგიუსონი „დანდი იუნაიტედის“ ღირსებას იცავდა, მოგვიანებით კი ქვეყნის ყველაზე პოპულარულ და ყველაზე ტიტულოვან კლუბ „გლაზგო რეინჯერსშიც“ გადავიდა. დიდ კლუბში მისვლა მისთვის სულაც არ აღმოჩნდა წარმატებული — ერთ-ერთ მატჩში რაღაც ისტორიაში გაიხლართა, რომლის გამოც კინაღამ დაასრულა კიდეც საფეხბურთო კარიერა. კაცმა რომ თქვას, ის გაუგებრობა არ იყო, ფერგიუსონმა თავი საფრთხეში თავად ჩაიგდო.

1994 წლის აპრილში, ჩემპიონატის ერთ-ერთ მორიგ ტურში „რეინჯერსი“ „რაით როვერსს“ ხვდებოდა. იმ შეხვედრაში ფერგიუსონმა გოლიც გაიტანა, მაგრამ მთავარი მოგვიანებით მოხდა — მეტოქეს ეუხეშა და თავიც დაარტყა. „დანკან დაუმორჩილებელი“ ფეხბურთიდან ერთი თვით მოკვეთეს. სასჯელმა მას ჭკუა მაინც ვერ ასწავლა. როცა დისკვალიფიკაცია მოიხადა და კვლავ გაგორა ბურთი, კიდევ გაეხვია შარში — ვიღაცას აგინა, თან ვკარიანად სცემა. დაუსჯელი არც ამ შემთხვევაში დარჩა — 6 კვირა ციხეში გაატარა.

შოტლანდიაში ფერგიუსონმა ყველანაირი სასჯელი გამოსცადა, ციხიდან გამოსული კი უმალ „ევერტონმა“ გადაიბირა. თავად თავდამსხმელს ინგლისელთა წინადადებაზე ბევრი არ უფიქრია, კლუბის ხელმძღვანელობას დაყაბულდა და ლივერპულს გაეშგავრა. „გლაზგო რეინჯერსმა“ ფერგიუსონის სანაცვლოდ 4 მილიონი გირვანქა მიიღო.

ინგლისში ფერგიუსონს არანაკლებ ხმაურიანი კარიერა ელოდა. იყო ჩხუბიც, გაძევებაც, მსაჯებთან გაუთავებელი კამათიც, მაგრამ ყოველივე ამ „სიკეთესთან“ ერთად, ფერგიუსონი წარმოჩინდა, როგორც კარგი ფეხბურთელი. იგი წყალწყალებული „ევერტონისთვის“ გარკვეულწილად მხსნელადაც კი იქცა — გაჰქონდა უმნიშვნელოვანესი გოლები, ხოლო ის, რომ კლუბმა 1995 წელს ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ სძლია, უდავოდ შოტლანდიელის დამსახურება გახლდათ. ასოციაციის თასი „ევერტონის“ ჯერჯერობით ბოლო წარმატებაა, ხოლო თუ გუნდის დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, არაა გამორიცხული, რომ კარგა ხანს ასეთად დარჩეს.

მალე ნისლი კვლავ ჩამოწვა — 1996 წელს, როცა კონტინენტის პირველობაზე საასპარეზოდ ემზადებოდა, საზარელის ტრავმა მიიღო და ევროპის ჩემპიონატზე ვერ ითამაშა. მოგვიანებით ამას შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის მკაცრი განაჩენიც დაერთო და 27 წლის ფეხბურთელმა ქვეყნის პირველ გუნდში თამაშზე უარი თქვა. დღესდღეობით ფერგიუსონს შოტლანდიის ღირსება მხოლოდ ხუთჯერ დუცავს და ალბათ ისე დასრულებს კარიერას, ქვეყნის ნაკრების მაისურს არარც მორგებს.

„ევერტონში“ გატარებული სამი წლის შემდეგ დანკან ფერგიუსონი „ნიუკასლ იუნაიტედში“ გადავიდა.

— იმედია, ის ჩვენი წარმატებების საწინდარი გახდება — განაცხადა პრესკონფერენციაზე ნიუკასლელთა მწვრთნელმა რუუდ გულიტმა.

კარგია, როცა მწვრთნელი ფეხბურთელის სიძლიერეში დარწმუნებულია, მაგრამ ორმაგად სასიხარულოა, როცა თავად მოთამაშეს სწამს საკუთარი თავის. დანკანს სჯერა შესაძლებლობებისა.

ირაკლი ილაშვილი

სხვანაირი კაცი

საფეხბურთო სტატისტიკოსებო, აბა თუ გვეტყვით შემთხვევას, როდესაც ჩემპიონმა გუნდმა ყველაზე ნაკლები გოლი გაიტანა! ჩვენ გეტყვით, ეს ახლახან, შვედეთში მოხდა, სტოკჰოლმის აიკ-მა 26 შეხვედრაში 25-ჯერ შეაგდო ბურთი მოწინააღმდეგეთა კარში და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა.

გაშვებმით აიკმა 15 გაუშვა.

იცით ვინ მოახერხა ასეთი გუნდის შექმნა? შოტლანდიელმა სტიუარტ ბაქსტერმა, 45 წლის მწვრთნელმა, რომელმაც შვედეთში, ნორვეგიასა და იაპონიაში ექსჯერ მოაგებინა გუნდებს ჩემპიონის ტიტული.

ბაქსტერმა აიკი წლის დასაწყისში ჩაიბარა.

ცნობისათვის: აიკი ის გუნდია, რომელშიც უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა, 1960 წელს, საფეხბურთო პოლიტიკის მწვერვალებისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯი გადადგა.

როგორი იყო აიკი ბაქსტერის მისვლის დღეს? ის იყო გუნდი, რომელმაც ვერ მოიპოვა უეფას თასზე გამსვლელი ადგილი და გაყიდა წამყვანი მოთამაშეები, მათ შორის შეკარე მაგნუს ჰედმანი, რომელიც ინგლისურ „ქოვენთრი სიტიში“ გადავიდა.

მოკლედ, ბაქსტერს დახვდა ნაცნობი პრობლემები, რომელთა გადაჭრის თავისებური მეთოდი კარგა ხანია მოფიქრებული აქვს.

„სულ ასეა, ყოველ ახალ გუნდში დირექტორატი მეუბნება, რომ საუკეთესო ფეხბურთელები გაყიდულია. ფული აღარ არის და მიზანი უძლიერესთა ოთხეულში მოხვედრაა. მე ვპასუხობ: მოდი რეალისტები ვიყოთ. ვიცი, გსმენიათ, რომ ცვლილებები დროს მოითხოვს, მე კი ვფიქრობ, მათი დაჩქარება სრულიად შესაძლებელია. თუ თქვენ ყავის მადუღარათი მომზადებას ცხელ ქვიშაზე შემოდგმული ყავადანის ლოდინი გიჯობთ. მითხარით და კი ბატონო, ერთად დაველოდოთ“ — ამბობს ბაქსტერი.

იაპონელებს ბრძნულ ნათქვამებს რა გამოულეეთ. ერთი ასეთია: განსხვავება არსებულ და სასურველ მსოფლიოს შორის ხშირად ერთი გოჯია, მაგრამ სწორედ ესაა მანძილი სამოთხედან ჯოჯოხეთამდე.

„ჩემი სამწვრთნელო ფილოსოფიაც ასეთია“ — განმარტავს ბაქსტერი — „რა უნდა ქნა, როდესაც გუნდში დენის ბერკამპი არ გყავს? უნდა იფიქრო, სულ ეს არის. მაგალითად, როდესაც იძულებული ხარ თავი დაიცვა, უნდა მოიქცე ისე, როგორც მოჭადრაკე ბორის სპასკი იქცეოდა. იგი ამბობდა: რადგან საუკეთესო სვლას ყოველთვის ვერ მიაგნებ, მთავარია ისე ითამაშო, რომ მოწინააღმდეგეს მეტისმეტად შეეშალოს ხელი. მეც სულ ამას ჩავჩიჩინებდი აიკის ფეხბურთელებს.

იცით რა ქნა ბაქსტერმა ამ სეზონში? საკუთარი ვაჟი, ლი სათადარიგოთა სკამზე დასვა, აიკის კარში კი მატიას ასპერი დააყენა. ეს ნაბიჯი ყოველმხრივ სასარგებლო გამოდგა, იმ დღის მერე გუნდს თამაში აღარ წაუგია და ჩემპიონი გახდა.

ნორვეგიაში მუშაობის დროს ბაქსტერმა გაიცნო ვილი რაილო, სპორტული ფსიქოლოგი. რაილოსგან ბევრი სასარგებლო რამ ისწავლა შოტლანდიელმა.

„ნეირო-ლინგვისტიკური მეთოდი მართლაც ძალიან მეცნიერულად ჟღერს. სინამდვილეში კი მხოლოდ და მხოლოდ

სტიუარტ ბაქსტერი

ისაა, რომ მწვრთნელმა უნდა შეთხზას ისეთი ისტორიები, რომლებსაც მოთამაშეები მოედანზე ფეხბურთის ენაზე გადათარგმნიან“ — ბაქსტერს გაუნათლებლობას ვერავინ დაწამებს.

ბაქსტერი შუაგულ ინგლისში დაიბადა, მაგრამ შოტლანდიაშია გაზრდილი. იგი გახლდათ ძალიან უსახური ფეხბურთელი. გამოდიოდა „პრისტონში“, „სტოკპორტსა“ და „დანდიში“. ბაქსტერი წარმატებებს 1984 წლის მერე აღწევს, რაც შვედეთში წავიდა და მწვრთნელობას მიჰყო ხელი.

თავიდან „ერებრუში“ ასისტენტად მოეწყო, რომლის მწვრთნელი იმხანად, მისდა ბედად, ინგლისელი რიი ჰოჯსონი გახლდათ. ჰოჯსონისგან ვონიერ ადამიანს ბევრი რამ უნდა ესწავლა. ბაქსტერმაც ისწავლა, თან უმთავრესს აუღო ალღო. ეს უმთავრესი კი ცოტა სხვანაირად ფიქრია.

ნორვეგიულ „ტრომსოს“ ბაქსტერი მაშინ ჩაუდგა სათავეში, როდესაც ის მესამე დივიზიონში თამაშობდა. ორ სეზონში „ტრომსო“ პირველი დივიზიონის გუნდი გახდა.

შვედეთში დაბრუნებულმა შოტლანდიელმა „ჰალმსტადი“ დააწინაურა, თავად კი იაპონიაში წავიდა. იქ, ამმავალი მზის ქვეყანაში ბაქსტერმა „სანფრესე ჰიროშიმა“ პირველი ეტაპის ჩემპიონად აქცია, კობეს „ვისელი“ კი ქვედა ლიგიდან ზევით აიყვანა.

„ფეხბურთელობისას ტიპიური ბრიტანელი გახლდით, ისეთი, გულით რომ იბრძვის მოსაგებად, წაგებას კი ძალიან განიცდის. დიდი ნაკლიც მქონდა, ყოველი მატჩის წინ, გასახდელში, უზომოდ ენერვიულობდი. სამშობლოში ერთმა მწვრთნელმაც არ იზრუნა ჩემს ამ კოშმარისგან განთავისუფლებაზე. უცხოეთში კი სხვანაირად შევხედე მოვლენებს, ფსიქოლოგიის წიგნებს ჩავუჯექი და თავად რომ გავხდი მწვრთნელი, პირველი, რაც გავაკეთე, მოთამაშეებისთვის გარემოს შეცვლა იყო.

მოამზადა
პაატა კედია

სარბიელის არქივიდან

რებუსი

თურქ პოლიციის ყოფილი პოლკოვნიკი ვასილე იანული 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელებს პრემიებს უხდიდა. იანული იმხანად ბუქარესტის „დინამოს“ პრეზიდენტი იყო.

„იანულმა ეროვნული გუნდის ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ბუქარესტში უელსის 5:1 დამარცხებისთვის მართლა გადაუხადა პრემიები. მანვე დაარიგა ფული ბრიუსელში, ბელგიასთან შეხვედრის წინ. ის შეხვედრა 0:1 ნავაგეთ, ხოლო ტიბორ სელიმეშის ტრანსფერიდან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას 100 ათასი დოლარი არ მიუღია“ — თქვა ორიოდ დღის წინ ტელეინტერვიუში ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ.

გაიგეთ რამე?

გამოდის, რომ ქვეყნის ერთ-ერთი კლუბის პრეზიდენტმა თავისი ფეხბურთელი, სელიმეში, ბელგიურ „ბრიუგეს“ რომ მიყიდა და სანაცვლოდ 460 ათასი დოლარი მიიღო, იქიდან 100 ათასი ფედერაციას მიუტანა თუ არა, სადავო ყოფილა.

კი მაგრამ, რა შუაშია აქ ნაკრების პრემიები? რატომ უნდა ურიგებდეს ფულს ნაკრების მოთამაშეებსა და მწვრთნელებს ბუქარესტის „დინამოს“ თუნდაც პოლკოვნიკი უფროსი?

სანდუმ დასძინა: „იანულის დაჭერა სამარცხვინო საქციელი იყო. რუმინეთისთვის იგი სახიფათო პიროვნება არ ყოფილა. უამრავი ადამიანი უარესს სჩადის.“

გაიგეთ კაცო, რამე?

უამრავი ადამიანი უარსს სჩადის და ამიტომ ის, ვინც მხოლოდ და მხოლოდ ცუდს სჩადის, არ უნდა დაეპატიმრონ — ასეთია ლოგიკა.

ახლა, რა ცუდზეა ლაპარაკი: ვასილე იანულის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაში წერია, რომ მან, 1991-93 წლებში, როდესაც „დინამოს“ პრეზიდენტი იყო, 2 მილიონ 300 ათასი დოლარი გაქრო.

ამ კვირაში იანულმა სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ იგი ქრთამავდა მავანსა და მავანს, „დინამოს“ წარმატებების სანაცვლოდ. კიდევ, ბრალდებულის თქმით, ქრთამს იღებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებიც, რომლებიც სამაგიეროდ მის საზღვარგარეთულ ბიზნესს უწყობდნენ ხელს. უწინდელი ცნობების თანახმად საუბარია ქვეყანაში უცხოური სიგარეტის არალეგალურ შეტანაზე.

ცხრა წელიწადია, რაც რუმინეთში კომუნიზმი გარდაიცვალა, მაგრამ ბუქარესტის „დინამო“ ძველებურად შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდია, ხოლო „სტიაუა“ — თავდაცვის სამინისტროსი.

„1991 წელს, სელიმეში „ბრიუგეში“ რომ გავყიდე შემოსული თანხიდან 100 ათასი მართლა მივეცი ფედერაციას“ — განაცხადა ძველმა პოლკოვნიკმა სასამართლო დარბაზში.

მიხეილ სურგულაძე

საეჭვო 1:1

ამბობენ, ჩაწყობა-გარიგება ინგლისურ პრემიერლიგაშიც ხდებაო. „სკოტლანდ იარდმა“ დაადასტურა, რომ მისი ოფიცრები კიდევ ერთ საქმეს იძიებენ.

ანონიმური ბრალდება ოქტომბერში გამართულ „არსენალ“ — „საუთჰემპტონის“ შეხვედრას შეეხებოდა. უცნობს უთქვამს, ის მატჩი, ფრედ, 1:1 რომ დამთავრდა, ჩაწყობილი იყოო.

პოლიციის პრეს-ატაშე ქალბატონმა ბრძანა, რომ ჯერჯერობით უცნობის ნათქვამი არაფრით მტკიცდება:

„ანონიმური განცხადება, თითქოს პრემიერლიგის შეხვედრა გარიგებული იყო, ქალაქის პოლიციამ მიიღო. წინასწარი გამოძიება უკვე ჩატარებულია და საქმის ფორმალურად აღძვრისათვის საბაბი არ არსებობს. საკითხს ყურადღებას არ მოვაკლებთ, ოღონდ, ჯერჯერობით არც ძიებას განვაგრძობთ, რადგან საამისოდ საკმარისი ინფორმაცია არ გვაქვს.“

გეხსომებათ, რომ ბოლო წლებში ინგლისის ფეხბურთს ჩრდილი მოთამაშეების, ჰანს სეგერსის, ჯონ ფაშანუსა და ბრიუს გრობელაარის საქმის სასამართლო გარჩევამ მიაყენა. ბრალდებულებს ვერაფერი დაუმტკიცეს.

ერთადერთი, რაც გამოვლინდა, ის იყო რომ სეგერსი და გრობელაარი ფეხბურთის ასოციაციის კანონს არღვევდნენ და სანიძლაო საქმეებში ერეოდნენ. ამისათვის ასოციაციამ ორივე გოლკიპერი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ჩამორჩენილი გერმანია

გერმანიის ნაკრებისა და „მილანის“ თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი ბოდიშს იხდის. მან ჰოლანდიის ნაკრებთან ამასწინდელი ამხანაგური შეხვედრის შემდეგ გერმანელ გულშემატკივრებს შეუთვალა, მაღალ-მაღალი ტაიჭებიდან, დროა, ჩამობრძანდეთო.

გერმანელებმა ჰოლანდიელებთან 1:1 ითამაშეს, მაგრამ ბევრის აზრით შეხვედრა 1:5 ან 1:6 რომ დასრულებულიყო, საკმაოდ ლოგიკური იქნებოდა.

მოკლედ, ქომაგები ფეხბურთელებით დარჩნენ უკმაყოფილონი, ბირჰოფი კი ქომაგების ამბიციებმა გააღიზიანა და საჯაროდ განაცხადა, რომ გერმანელი ხალხი დიდმა წარმატებებმა გარყვნა.

„ძალიან ვწუხვარ, ასე რომ ვთქვი“ — აღიარა ბირჰოფმა „ბილდის“ კორესპონდენტთან საუბარში — „ვეთანხმები გულშემატკივარს, ჩვენ სამაგლად ვითამაშეთ და სტვენის ღირსნი ვიყავით. კარგა ხანია, ძალიან ცუდად ვთამაშობთ.“

იქნებ გერმანელთა კაპიტანი იმიტომაცაა გაღიზიანებული, რომ „მილანში“ 5 ოქტომბრის შემდეგ გოლი ვეღარ გაუტანია? არადა, გასულ სეზონში ბირჰოფი სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

„ორი მეტად წარმატებული სეზონის შემდეგ რთული დროება დამიდგა“ — განმარტავს თავდამსხმელი — „არა უშავს, ადრე უარს დღეშიც ვყოფილვარ. მთავარი ისაა, რომ შეგუება არ გვჩვევია.“

გერმანია კი ამასობაში ფიქრს მისცემის. 1990 წელს ქვეყნის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, 1996 წელს ევროპული გვირგვინი დაიდგა, ახლა კი... ასე უცებ რა უნდა მომხდარიყო?

აი, რას ამბობს 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროინდელი მწვრთნელი იუპ დერვალი, რომელმაც მაშინ, ესპანეთში გერმანელები ვიცე-ჩემპიონები გახადა: „საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე აშკარა იყო, რომ ჩვენი გუნდი შეჯიბრებას ადრეულ ეტაპზევე გამოეთიშებოდა. მსოფლიოში საუკეთესონი ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მაისურების ქარაგაში ვართ.“

ოლივერ ბირჰოფი ბოდიშს იხდის

71 წლის დერვალმა გერმანელ ფეხბურთელთა ახალი თაობაც გააკრიტიკა. თქვა, ის უტექნიკოა, მოთამაშეებმა ბურთს რა მოუხერხონ, არ იციანო.

„ნაკრებში ერთი ფეხბურთელიც არ გვყავს ისეთი, ბურთი რომ დაუმალოს მოწინააღმდეგეს. ტაქტიკურადაც ჩამორჩენილნი ვართ. ნებისმიერი მეტოქე იოლად ხვდება ჩვენს ჩანაფიქრს, რომელიც იოტისოდენა მოულოდნელობასაც არ შეიცავს. ჰოლანდია, იტალია, არგენტინა და მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი, სინათლის წლებით გვისწრებენ.“

ალბანეთი

მე-11 ლაჩი — პარტიზანი 2:3, ბილიში — აპოლონია 4:1, შკენდერბუ — ფლამურტარი 4:1, დინამო — ლუშნია 2:0, შკუმბინი — ელბასანი 1:0, ტეუტა — ტირანა 0:5, ტომორი — ბურელი 2:1, ვლაჟნია — ბესა 5:0

ტირანა	11	7	2	2	21:11	23
ბილიში	11	7	1	3	16:9	22
ვლაჟნია	11	6	2	3	19:8	20
ლუშნია	11	6	1	4	26:14	19
დინამო	11	5	4	2	18:15	19
პარტიზანი	11	4	5	2	13:13	17
ტომორი	11	4	4	3	11:7	16
შკუმბინი	11	5	0	6	9:14	15
ლაჩი	11	4	2	5	14:15	14
ელბასანი	11	4	2	5	8:9	14
ბესა	11	4	1	6	9:18	13
ტეუტა	11	4	1	6	10:26	13
შკენდერბუ	11	4	0	7	17:19	12
აპოლონია	11	3	3	5	9:15	12
ბურელი	11	3	1	7	19:19	10
ფლამურტარი	11	1	5	5	10:17	8

ჰოლანდია

თასის მესამე ეტაპი

უტრეხტი 2:2 ნაიმეგენი

თურქეთი

მე-13 ტური. ბურსა — ერზურუმი 6:1, ბეშიქთაში — ქარაბუქი 1:1, გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი 2:2, ანთალია — ადანა 2:0, ანკარაგიუჯიუ — სამსუნი 3:4, ალთაი — ფენერბაჰჩე 0:4, საქარია — გალათასარაი 0:0, ჭოჯაელი — ისთანბული 0:1, დარდანელი — ტრაბზონი 2:3.

ბეშიქთაში	13	9	4	0	28:11	31
გალათასარაი	13	8	3	2	38:15	27
ტრაბზონი	13	8	3	2	24:13	27
ფენერბაჰჩე	13	8	2	3	33:11	26
ანთალია	13	7	3	3	18:12	24
ბურსა	13	7	2	4	26:22	23
ჭოჯაელი	13	7	2	4	18:14	23
გენჩლერბირ.	13	7	1	5	22:18	22
ისთანბული	13	6	2	5	20:18	20
გაზიანთეფი	13	5	4	4	15:15	19
ერზურუმი	13	4	3	6	16:32	15
სამსუნი	13	4	2	7	17:28	14
ანკარაგიუჯიუ	13	4	1	8	17:21	13
ალთაი	13	3	2	8	18:28	11
ადანა	13	3	2	8	7:18	11
საქარია	13	2	4	7	11:21	10
ქარაბუქი	13	2	2	9	10:23	8
დარდანელი	13	0	4	9	4:22	4

ქართველები საბჭოთა ნაკრებში

თენგიზ სულაქველიძე

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1980-81 წლების გათამაშების ნახევარფინალი — თბილისის „დინამო“ შინ, პირთამდე გადაჭედილ „დიდი ბელადის“ სახელობის სტადიონზე ჰოლანდიურ „ფეიენოორდს“ მასპინძლობს. ქართველი ფეხბურთელები პირველად არიან ასეთი პრესტიჟული ევროტურნირის ნახევარფინალში, მეტოქეც სახელიანია, ბებერ კონტინენტზე არაერთი დიდი გამარჯვება უზეიმია და ამჯერადაც მხოლოდ მოგებაზე უჭირავს თვალი. სტადიონზე მოსული ქომაგი კი მშობლიური გუნდის წარმატებაზე ოცნებობს, ოცნებას ზურგს ის ბიჭები უმაგრებენ, რომელთა ჩინებულმა თამაშმა არამარტო საბჭოეთში, არამედ ევროპაშიც ფეხბურთის ბევრი ცნობილი სპეციალისტი აღტაცებაში მოიყვანა.

8 აპრილის იმ მშვენიერ საღამოს დინამოელებმა დიდი აღმაფრენით ითამაშეს. როტერდამელები ვეღარ უმკლავდებოდნენ ყიფიანის, გუცაევის, შენგელიას, დარასელიას შეტევებს, მაგრამ ის დღე გამორჩეულად ერთი კაცისა იყო, რომელიც ლაბა ხარივით, მუხლჩაუხრელად ეწეოდა ჯაფას მთელ მოედანზე, ჰოლანდიელებს გაბელიას კარისაკენ სავალ გზებს ოსტატურად უკეტავდა, სტუმართა დაცვის ზღუდეებსაც გააფთრებით უტევდა, ორი ბურთიც გაიტანა და თბილისელთა 3:0 გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ეს ფეხბურთელი, გულშემატკივართაგან ჭომად წოდებული, დინამოელთა მერვე ნომერი თენგიზ სულაქველიძე გახლდათ.

მართალია, საპასუხო მატჩში ჰოლანდიელებმა ავსტრიელი მსაჯის არნახული უნამუსობის წყალობით 2:0 დაამარცხეს „დინამო“, მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში ფინალში მაინც თბილისელები გავიდნენ. და მერე იყო 1981 წლის 13 მაისი, ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი და ლამაზი გამარჯვება. თენგიზ სულაქველიძე ამ გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და შემოქმედი იყო.

მამაცი გული

1981 წლის 8 აპრილი. თბილისის „დინამომ“ ევროპის თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში როტერდამის „ფეიენოორდს“ 3:0 მოუგო. თენგიზ სულაქველიძემ ორი ბურთი გაიტანა და ქართველთა გამჯვებაში ლომის წილი დაიდო

არადა, ქუთაისის კოლორიტულ უბან ჭომაში დაბადებული ბიჭი თავიდან ფეხბურთელობაზე არც კი ფიქრობდა. სულაქველიძეების სახლთან ახლოს ნიჩბოსანთა ბაზა იყო და თენგიზსაც იქეთ გაუწია გულმა. როგორც ამბობენ, ღონივრად უსვამდა ნიჩაბს და საკმაოდ სწრაფადაც მიაქროლებდა ნავს მდინარე რიონზეო. ეგაა მხოლოდ, ყველა პატარა ბიჭივით ისიც აგორებდა ბურთს თანატოლებთან ერთად. მერე კი ფეხბურთის სიყვარულმაც იძალა, თანაც ისეთმა კაცმა დაადგა თვალი, კოჭებში რომ ატყობს ბავშვებს ფეხბურთელობას. ჭომა კი ბავშვი აღარ იყო. 17 წლის ბიჭები დიდ გუნდებში თამაშობდნენ და წარმატებითაც. თუმცა კარლო ხურციძე არ შემცდარა, სულაქველიძე თავისთან რომ წაიყვანა. ერთი წელი ოსტატმა და შეგირდმა ბევრი ოფლი ღვარეს და უკვე 1974 წლიდან თენგიზ სულაქველიძეს ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობაში ვხედავთ.

ოთხი წელი დაჰყო ჭომამ „ტორპედოში“, იმდროინდელ საბჭოური ჩემპიონატის პირველ ლიგაში უმრავჯერ ითამაშა, მებრძოლი, ჟინიანი ფეხბურთელის სახელი დაიგდო. დაცვაში მის საიმედო თამაშს ბრწყინვალე ეთქმოდა. სულაქველიძეს თბილისის „დინამოს“ თავკაცებმა დაადგეს თვალი. „დინამოში“ კი დიდი ამბები ხდებოდა. ნოდარ ახალკაცს ახალი გუნდის შექმნა განეზრახა, სულაქველიძის დარი ფეხბურთელი სრულად აკმაყოფილებდა ამბიციური მწვრთნელის გემოვნებას.

1978 წელს თბილისის „დინამო“ მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ჭომამ იმ სეზონში მხოლოდ ორიოდ შეხვედრაში თუ ითამაშა, ამადაც ვერ ირგუნა ოქროს მედალი. ჩემპიონი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკიდრება ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის საძნელო საქმედ ჩანდა, მაგრამ ახალკაცი თამამ გადაწყვეტილებებს არ ერიდებოდა. მწვრთნელს სულაქველიძის უნივერსალიზმი საშუალებას აძლევდა, ფეხბურთელი სხვადასხვა პოზიციაზე ეთამაშებინა, ჭომაც ჩვეული გულმოდგინებით ხან საყრდენ ნახევარმცველად გვევლინებოდა, ხანაც დაცვის მარჯვენა ფრთას აკონტროლებდა. სულაქველიძეს დაცვის ცენტრშიც არაერთხელ უსახელებია თავი, ამიტომაც იყო, რომ მოკლე ხანში ჭომა „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახდა.

და დაიწყო თბილისის „დინამოს“ აღზევება, გუნდში უნიჭიერესმა თაობამ მოიყარა თავი — ყიფიანის უზუსტესი პასები, გუცაევის ელვისებური დრიბლინგები, შენგელიას გოლები, დარასელიას კლდესავით გამაგრებული შუა ხაზი, დაცვის სიმწყობრე ჩივაძის მეთაურობით და ყველგან მყოფი, დაუღალავი, მუდამ მებრძოლი, შემართული და თავდაუზოგავი თენგიზ სულაქველიძე. გამარჯვებებიც მოდიოდა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში დამარცხებული კიევისა და მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“ და ერევნის „არარატი“. 1979 წელს დინამოელებმა საკავშირო თასის ფინალში მოსკოველ თანაკლუბელებს პენალტებით მოუგეს და მეორედ გახდნენ თასის მფლობელები. იმავე წელს კი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალში, შემოდგომის თავსხმა წვიმაში, კონტინენტის უძლიერეს გუნდთან, ინგლისის „ლივერპულთან“ საარაკო გამარჯვებაც იზეიმეს. 1981 წლის 13 მაისზე კი ზემოთაც ვთქვით. გულშემატკივარი ბედნიერი იყო, „დინამოს“ თამაშებზე სტადიონი მუდამ ივსებოდა, ხალხი ჭომას თავდადებას გამოარჩევდა.

სულაქველიძეს განსაკუთრებით კარგად ეხერხებოდა მეტოქეთა სწრაფი თავდამსხმელების პერსონალური მეურვეობა. გულშემატკივრები ხუმრობდნენ კიდეც — ჭომა სისხლს დაღვრის და მოწინააღმდეგეს საჯარიმოში არ შეუშვებს, კარისკენ ბურთს არ დაარტყმევინებსო. ერთი შეხედვით სულაქველიძე თითქოს უხეში ფეხბურთელიც იყო. არა, უბრალოდ, მას არ სჩვეოდა, გულგრილად ეცქირა, როგორ უტევდა მეტოქე. ჭომა ბოლომდე იხარჯებოდა, თამაშში სულსა და გულს დებდა. უჯიგრობას, დღეს რომ ხშირად ვუჩივით საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, სულაქველიძეს ვერასოდეს შეამჩნევდით. და კიდევ, იგი არასდროს გვინახავს დაღლილი, ჭომა გუნდის საბერველიც იყო.

აბა, ისეთ ფეხბურთელს, რომელიც კლუბში ჩინებულად ირჯება, შინაურ ჩემპიონატშიც ბადალი არა ჰყავს, ნაკრების მწვრთნელები უყურადღებოდ დატოვებდნენ? თენგიზ სულაქველიძეც საბჭოთა ნაკრების თავკაცებმა იხმეს. ჭომამ საბჭოთა წითელი მაისური 49-ჯერ მოირგო, სანაკრებო კარიერაში ორი ბურთიც გაიტანა. 1982 წელს ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, 1988 წლის ევროპის ვიცე-ჩემპიონიც გახდა, მრავალ სახელმოხვეჭილ ფორვარდს დაუპირისპირდა, მათ შორის გამორჩეული კი დიდი არგენტინელი დიეგო მარადონა გახლდათ. ეს ამხანაგური შეხვედრა არგენტინაში გაიმართა. მაშინ მარადონას ზეობის ხანა იდგა, დიეგო ბრწყინვალე ფორმაში იყო და მისი მეურვეობა მწვრთნელებმა სწორედ ჭომას მიანდეს.

სულაქველიძემ არგენტინაში თავი დადო, ტოლ-სწორად ეთამაშა მარადონას, ბევრიც იძიგილავეს ფეხბურთელებმა, საბოლოოდ კი მატჩიც ფრედ დამთავრდა და სულაქველიძე-მარადონას დუელიც. ჭომამ ყველას დაუმტკიცა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია.

ერთადერთი კაცი, ვის ჯავრსაც ქართველი მცველი გულიდან ვერასოდეს ამოიღებს, დანიელი პრებენ ელკიარ ლარსენია. მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დანია საბჭოთა ნაკრებს მასპინძლობდა. 1985 წლის 5 ივნისს „დანიურმა დინამიტმა“ საბჭოეთი ააფეთქა. ვიკინგთა შორის შეუდარებელი იყო ელკიაერი, რომელსაც ფიზიკური სიძლიერის გამო „ბიზონსაც“ ეძახდნენ. საბჭოელმა მცველებმა ვერ შეძლეს ბიზონის შეჩერება. დანიამ 4:2 გაიმარჯვა და რუსთაგან რაღა გასაკვირია, რომ მარცხი ნაკრების მწვრთნელმა მალოფეევმა მთლიანად თენგიზ სულაქველიძეს დააბრალა. ჭომა გუნდიდან დაითხოვეს, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშიც აუხდენელ ოცნებად დარჩა.

მაგრამ ნაკრებთან განშორება დიდხანს არ გაგრძელებულა. საბჭოთა გუნდი მექსიკაში ნაკრებად გამოეთიშა ჩემპიონატს. ნაკრებმა ევროპის პირველობისთვის დაიწყო მზადება. გერმანიაში მოსახვედრად ჯერ შესარჩევი ეტაპის დაძლევა იყო საჭირო. ლობანოვსკიმ თავის რჩეულთა შორის სულაქველიძეც დაასახელა.

პირველ მატჩში რეიკიავიკში, ისლანდიელთა წინააღმდეგ ჭომამ ჩვეულად იბრძოლა, ეგ კი არა, ბურთიც გაიტანა და საბჭოელები უსახურ ისლანდიელებთან მარცხისგან იხსნა.

ლობანოვსკის თავკაცობით ნაკრებმა შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და გერმანიას გაემგზავრა. ევროპის ჩემპიონატზე ჭომამ სულ 45 წუთი ითამაშა, მაგრამ თავისი წვლილი მაინც შეიტანა. საბჭოელებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

...„დინამო“ კი ვეღარ ბრწყინავდა ჩვეულად. გუნდში თაობათა ცვლა მიმდინარეობდა, 81-ანელების უმრავლესობა მწვანე მინდორს ტოვებდა და ადგილს ახალგაზრდებს უთმობდა. ჭომას ჯერ კიდევ შეუძლია, ჭომა ჯერ კიდევ გუნდშია. იგი ნამდვილი ლიდერია და მისი მამაცი გული „დინამოს“ დაჩიავებას ვერ შეგუებია. მან ერთხელაც გაიბრძოლა, უეფას თასის მერვედფინალში გერმანულ „ვერდერს“ კაცურად ეომა, მაგრამ დამარცხდა.

მერე კი... ყველაფერს აქვს დასასრული. თენგიზ სულაქველიძემ იგრძნო წასვლის დრო, ფეხბურთელის კარიერაში ყველაზე მძიმე — არჩევანის დრო. ეტყობა, ჭომაც დაიღალა და წავიდა. წავიდა ტიტულოვანი და სახელმოხვეჭილი.

თენგიზ სულაქველიძე თხუთმეტი წელი ემსახურა ფეხბურთს, საბჭოთა კავშირის თასისა და ევროპის თასების თასის მფლობელს, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალოსანს ხალხის პატივისცემა არასოდეს მოჰკლებია.

და მაინც, ჭომამ ფეხბურთის გარეშე ვერ გაძლო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. დღეს იგი ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობს, ისეთივე მონდომებითა და შემართებით, როგორც მწვანე მინდორზე ირჯებოდა. ამადაც უყვარდა ქომაგს და ამიტომაც ახსოვთ ჭომად სახელდებული, თბილისის „დინამოს“ მამაცი გული — თენგიზ სულაქველიძე.

სოსო კოტორეიშვილი

თენგიზ სულაქველიძემ საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად, მოსკოვში 1980 წელს, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების სიის მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1 000-ს. თუ ნამრავლი 1 000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1 000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი კალიარი 3:0 და ინტერი კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიანი სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების ნინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 50 თეთრი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 50 თეთრზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ფსონები მიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 სათამდე
თბილისში — კინოუბერ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე №67 გლდანი I სავაჭრო ცენტრი
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;
ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაის) ქუჩა 4, ყოფილ კომსომოლტთან;
რუსთავში — კინოუბერი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

ფინეთის ქალაქ ლახტიში გამართულ ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲘᲡ მიერ დამყარებულმა მსოფლიოს რეკორდმა და მისმა მცირე ოქროს მედალმა მთელი საქართველო გაახარა. ბუნებრივია, რეკორდსმენის თბილისში დაბრუნებას და მასთან გასაუბრებას მოუთმენლად ველოდით

ᲨᲔᲛᲐᲥᲝᲤᲘᲚᲝ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠ...

ᲓᲐᲕᲐᲑᲠᲣᲜᲝᲗ ᲒᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘ! ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔ



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲐᲓ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ

— ლახტის მსოფლიოს 68-ე ჩემპიონატი მონაწილეთა მხრივ სარეკორდო გამოდგა — მასში 68 ქვეყნის 500-მდე ათლეტი ასპარეზობდა.

ოლიმპიადის შემდეგ გამართული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მაღალი შედეგებით არ გამოირჩეოდა. ამ პირველობისგან კი ბევრს ელოდნენ და მანაც იმედები გაამართლა.

ტურნირმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ძალოსნობა აღმავლობის გზაზეა. 80-იან წლებში ძალოსნებმა გამორჩეულ წარმატებებს მიაღწიეს, მერე კი კრიზისის პერიოდი დადგა და მაღალმა შედეგებმაც იკლო. ახლა ეს სახეობა ისევ უბრუნდება ძველ მწვერვალებს. თუ ადრე ცალკეულ წონებში ჩემპიონობისთვის ერთი-ორი კაცი იბრძოდა, დღეს ამ ტიტულისთვის ექვსეული ეკილება ერთმანეთს.

— შენს გამოსვლაზე რას იტყოდი?

— დავიწყოთ იმ კურიოზით, რომელიც ლახტიში შეგვემთხვა. მე 12 ნოემბერს ვიასპარეზე, 7-ში კი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი ჩატარდა. ჩვენს ფედერაციას ხელმოკლეობა იმის საშუალებას არ აძლევდა, ჩვენი იქ ყოფნა კიდევ რამდენიმე დღით გაეხანგრძლივებინა, ამიტომ კონგრესს ჩვენგან არავინ დასწრებია. ადრე მსგავსი რამ არ ისჯებოდა, მაგრამ ახლა ეს წესი შეცვლილა, ჩვენებმა კი არ იცოდნენ. საერთაშორისო ფედერაციამ იმით დაგვსაჯა, რომ ბ ჯგუფში გამანაწილა. შეჯიბრების დაწყებამდე რეიტინგის საფუძველზე მონაწილეებს სამ კატეგორიად გვყოფენ — ძლიერი, საშუალო და სუსტი. წლის რეიტინგში 9 თვის მანძილზე პირველი ვიყავი. ჩემმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმაც ამაზე გაამახვილა ყურადღება და შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ა ჯგუფში გადამიყვანეს.

ამ ჩემპიონატში ჩემი მონაწილეობაც კი სათუო იყო, რადგან დაწყებამდე თვენახევრით ადრე ორივე მუხლის ოპერაცია გავიკეთე — (მყესები მქონდა დაზიანებული). ამას დამატა ხერხემლის დაშავებაც, რის გამოც წელი ორი კვირა თაბაშირში მქონდა ჩასმული. ვარჯიში 25 ოქტომბერს განვაახლე, 12 ნოემბერს კი ფიცარნაგზე გავედი. ნორმალურად, ფაქტობრივად, ორი კვირაც არ მივარჯიშია. ასეთ პირობებში ატაცში დამყარებული მსოფლიოს რეკორდი ურიგო მიღწევა ნამდვილად არ არის.

— ურიგო კი არა, საუცხოოა, მაგრამ აკვრაში შენთვის ჩვეული წონა ვერ დაძლიე. იქ რაღამ შეგიშალა ხელი?

— ატაცში ფეხები აკვრასთან შედარებით ნაკლებადაა დატვირთული. თანაც, ატაცში უფრო ძლიერი ვარ. უვარჯიშებელი აკვრაში მედალზე არც ვფიქრობდი. ამის შანსი არ მქონდა. არც გავრისკე, რადგან შეიძლებოდა, ტრავმა მიმეღო.

— გატყობ, გულდაწყვეტილი არ ხარ...

— ტრავმების შემდეგ ნამდვილად კარგი შედეგია. რეკორდის დამყარება არაა იოლი. ატაცში ამის იმედი კი მქონდა, მაგრამ უვარჯიშებელს მაინც მეეჭვებოდა. ამ წარმატების მერე ორჭიდში ჩემგან ყველა მედალს ელოდა, მე კი ვიცოდი, რომ ეს ასე არ იქნებოდა.

— ახლა რას, ბაბამ, ისევ პოლონეთს და გინდა ვიქუროვს დაუბრუნდები?

— ალბათ. პოლონეთში სამი თვე ვემზადებოდი ბატონ ვანოსთან. მთლიანად დეპარტამენტმა დამაფინანსა, რისთვისაც დიდი მადლობა მას, მაგრამ ერთი მინდა ვთქვა — ჩემი იქ მივლინება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე აქ სავარჯიშო პირობების შექმნა. თანაც ეს ხომ მარტო ჩემთვის არ გაკეთდება? დანარჩენებსაც უნდა ჰქონდეთ ნორმალური სავარჯიშო პირობები. ლიდერს, რა საქმეშიც უნდა იყოს, უმალ მიმდევრები გამოუჩნდებიან ხოლმე, თუ დიდ წარმატებებს მივაღწევთ, ძალოსნობა უფრო პოპულარული გახდება. მეკახი კახიაშვილის ნაკვალევზე მოვედი, თუ პირობები არ იქნა, ჩემს შემდეგ არავინ მოვა და სპორტის ეს სახეობაც ჩაკვდება. ვანო გრიქუროვი ძალიან ნერვიულობდა. მან დიდი პასუხისმგებლობა იკისრა დეპარტამენტის წინაშე. ბევრად აჯობებს, ჩამოვიყვანოთ ეს კაცი და მისი ცოდნა ჩვენს ბიჭებს მოვახმაროთ. ის სჭირდება ქართულ ძალოსნობას. მისმა შრომამ პოლონეთში უკვე გამოიღო ნაყოფი. იქ ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული თაობა წამოვიდა, რომელიც ხვალ ჩვენ გაგვიწევს კონკურენციას. იქაურებს დიდად არ ეპიტნავებათ უცხოელის წარმატებები. გრიქუროვი რომ საქართველოში ჩამოვიყვანოთ, სიდნეის ოლიმპიადაზე 4-5 კაცი მაინც გვეყოლება. თანაც ისეთები, რომლებიც მედალს თუ ვერ მოიპოვებენ, ათეულში მაინც დამკვიდრდებიან. ეს კი ცუდი შედეგი არ იქნება.

— დღეს ადრინდელზე უფრო თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიდნეის ოლიმპიადა შენც გელოდება...

— ოლიმპიურ თამაშებში წარმატების მიღწევა ყველას ოცნებაა. ამას განსაკუთრებული ვარჯიში სჭირდება, ისეთი, რომელიც შედეგს მოიტანს.

პირადად მე ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის ვიბრძვი. ორჯერ დავანებე სპორტს თავი, მაგრამ ოლიმპიადისთვის დავბრუნდი. დიდი იმედი მაქვს, რომ სიდნეიში წარმატებით გამოვალ. კვირცხლბეკზე აუცილებლად ავალ, მაგრამ წინასწარ ვერ ვიტყვი, რომელ მედალს მოვიპოვებ. ისე, თუ თავს შევატყვე, რომ მედლის ამღები არა ვარ, შეიძლება არც წავიდე.

— ახლა რას აპირებ, რომელ ტურნირზე იასპარეზებ?

— ჩემი ყურადღება ძირითადად მიპყრობილია მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისკენ, რომელიც გაისად ათენში გაიმართება. მანამდე ევროპის პირველობაც ჩატარდება, მაგრამ მე უფრო მნიშვნელოვნად მსოფლიოს ჩემპიონატი მიმაჩნია, იქ ხომ ოლიმპიური ლიცენზიები გათამაშდება.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲫᲔ



ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲡᲐᲜᲘᲫᲔᲡ ᲨᲘᲜ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲙᲘ ᲣᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ჭადრაკის სასახლეში ინდოეთიდან მოსული ახალი ამბების გასაგებად შევიარე. ჭადრაკის სამშობლო 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატებს მასპინძლობს და იქ ქართველ მოჭადრაკეებსაც უნდა ეასპარეზათ, თუმცა...

ᲣᲤᲣᲚᲝᲑᲐ ᲙᲔᲓᲔᲚᲘᲐ

უსახსრობა კიდევ ერთხელ იქცა იმ დაბრკოლებად, რომელიც ბოლო წლებში ქართველ სპორტსმენთა უმრავლესობის წინაშე გადაულახავ კედლად აღმართულა. ინდოეთში წასვლა-ჩამოსვლა და ორი კვირა იქ ცხოვრებას საკმაო ფული სჭირდებოდა და მათი უქონლობის გამო ჩემპიონატს გამოტოვებენ მიხეილ მჭედლიშვილი, სოფიკო ტყეშელაშვილი და ანა მათნაძე. მეტად სამწუხარო ფაქტია, მით უმეტეს, რომ ჭადრაკის სამყაროში 20 წლამდე მოჭადრაკეთა ტურნირები უმცროს ასაკებთან შედარებით ერთობ „წონიან" შეჯიბრებად ითვლება და მათში გამარჯვებულებს ჩვეულებრივ საჭადრაკო „პრინცებად" და „პრინცესებად" ნათლავენ ხოლმე.

თბილისის ჭადრაკის სასახლე კი საქართველოს საკლუბო ჩემპიონატს მასპინძლობს, თუმცა ეს ტერმინი შორსაა მისი დასავლური გაგებისგან, სადაც კლუბებში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები იყრიან თავს. ქართული კლუბები მეტწილად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და პოპულარულ გვარებს მათ წევრთა ჩამონათვალში იშვიათად იხილავთ. გარდა ამისა, წლევანდელ ჩემპიონატს უფრო თბილისის საკლუბო ჩემპიონატი უფრო ეთქმის, ვიდრე საქართველოსი, რადგან 9 კლუბიდან 7 — „ჭადრაკის სასახლე", „სპორტის აკადემია", „ლაშარელა", „ბახტრიონი", „ლილე", „ვიქტორია" და „პოლიტექნიკური" — სწორედ თბილისურია და მხოლოდ დანარჩენი ორი — ზუგდიდის „ანდრია" და სენაკის „ეგრისი" არღვევენ დედაქალაქურ ერთფეროვნებას. ჩემპიონატმა ეკვატორს უკვე გადაბიჯა. 5 ტურის შემდეგ „პოლიტექნიკური" ლიდერობს. ტექნიკოსებმა 30 შესაძლებლიდან 24,5 მოაგროვეს და 2,5 ქულით უსწრებენ უახლოეს მდევარს, სენაკის „ეგრისს". მესამე პოზიციაზე „ჭადრაკის სასახლეა" 19,5 ქულით.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

პლაჟის ფრენბურთი ხომ არ გვეთამაშა?

ფრენბურთმა თავისი ისტორია და ტრადიციები საქართველოშიც შექმნა. სხვა თუ არაფერი, სამი ოლიმპიური ჩემპიონი — ვაჟა კაჭარავა, ვლადიმერ დოროხოვი და სტანისლავ ბუგაილო აღზარდა. ტრადიციები კი მხოლოდ შთამომავლებისთვის მოსაყოლ ლამაზ ზღაპრად არ იქმნება. მას მოვლა-პატრონობა, დაცვა და მომავალი თაობებისთვის გადაცემა სჭირდება.

იაპონიაში ახლა ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატია. ქალებმა უკვე მოილიეს საქმე და მალე ვაჟებში უძლიერესის ვინაობასაც შევიტყობთ. შეკრებილან მეტნაკლებად დალხენილი ქვეყნების ნაწრეთობ-ნავარჯიშევი, მხოლოდ ფრენბურთზე მოფიქრალი ქალ-ვაჟნი და ეჯიბრებიან ერთმანეთს. ჩვენ კი უამრავ პრობლემასა და გასაჭირზე გვესაუბრება საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ავთანდილ სილაგაძე. ჩვენი დაუწყობელი ყოფის გამოისობით სპორტის ამ სახეობას დალხენილი ცხოვრება რომ არ ექნებოდა, წინასწარვე ვიცოდი, მაგრამ ჩემი სტუმრობა პრეზიდენტთან სხვა გარემოებამაც განაპირობა. საქმე ისაა, რომ ბიუჯეტის გამუდმებული დეფიციტის პირობებში სპორტულმა ფედერაციებმა მხსნელებად სახელმწიფო დიღმოხელეები დაიგულეს და პრეზიდენტებადაც ერთმანეთის მიყოლებით აირჩიეს მაღალი თანამდებობის პირები. ასეთი შეთავსებისას სპორტი, როგორც პოლიტიკა-ეკონომიკაზე ნაკლებშემოსავლიანი და ნაკლებპრესტიჟული, ხშირად უყურადღებოდ რჩება. არადა, ფედერაციები ბობოლა პრეზიდენტებს ძირითადად ფინანსურ წრეებთან საშუამავლო-სამედიატორო მიზნით ირჩევდნენ, მაგრამ ხშირად იმედი გასცრუებიათ. ამიტომ ამ ხალხის გასპორტსმენ-გაპრეზიდენტებას ბევრისთვის ხვირი არც დაუყრია. ავთანდილ სილაგაძეც სწორედ ამიტომ მაინტერესებდა — იგი ხომ ქონების მართვის ყოფილი მინისტრია.

საუბარიც ჩვენი ფრენბურთის დღევანდელი მდგომარეობის შეფასებით დავიწყეთ

— ფრენბურთის ფედერაცია არსებობს და თავისი მწირი შესაძლებლობები რის საშუალებასაც აძლევს, ისე მუშაობს. ფედერაციას აქვს თავისი ოფისი, ამორტიზებული პრივატიზებული შენობა ალმაშენელის გამზირზე. აქვეა ფრენბურთელთა ძირითადი ბაზაც.

ფედერაციისთვის მთავარი ფინანსური პრობლემაა. ბიუჯეტიდან დაახლოებით 15 ათასი ლარი გვეკუთვნოდა. მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ ეს თანხა სპორტმინისტრმა სრულად მოგვცა, მაგრამ იგი მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის ჩასტარებლადაა საკმარისი. აი, საერთაშორისო სარბიელზე კი უფულობის გამო ვერ გავდივართ.საბიუჯეტო დაფინანსება ამისთვის საკმარისი არ არის. მართლია, ლეგიონერების ტრანსფერიდანაც შემოგვდის გარკვეული თანხა, მაგრამ იგი ძალიან მცირეა და მისი იმედით ევროპისკენ ვერც კი გავიხედავთ.

გვაქვს არასაბიუჯეტო შემოსავლებიც, ესეც ძალიან ცოტა, თუმცა მიმაჩნია, რომ სპოლო ჯამში აქცენტი სწორედ მათზე უნდა გაკეთდეს.

ერთი სიტყვით, რა საშუალებაც გვაქვს, ამით ვცდილობთ ფონს გასვლას. ვატარებთ ეროვნულ ჩემპიონატს. ასე რომ არ მოვიქცეთ, ფრენბურთი ჩაკვდება საქართველოში.

— ეროვნულ ჩემპიონატზე უფრო დაწვრილებით ხომ არ მოგვითხრობდით?

— ეროვნული ჩემპიონატი ტარდება როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. ის არ არის ძველებურად გუნდმრავალი, არადაც შეზნუდა, მაგრამ, საბედნიეროდ, რეგიონები ჯერაც დიდ ძალას წარმოადგენენ. თბილისთან ერთად ფრენბურთის კერებად კვლავ რჩებიან აჭარა, ცაგერი, დიდი ჯიხაშის კოლეჯი. სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით გვსურს ჩემპიონატის ტურები რეგიონებშიც გავმართოთ. წლეულს ბათუმში გავმართეთ პლაჟის ფრენბურთის ფინალური, ხოლო კლასიკურის ნახევარფინალური ეტაპები. გვინდა, იგივე გაიკეთოთ. ვნახოთ, რა გამოვა.

წლევანდელ ვაჟთა ჩემპიონატში სამხედრო აკადემიის გუნდმა გაიმარჯვა. მეორე იყო თსუ-ს გუნდი, მესამე — აჭარისა. აკადემიის გუნდი, ისევე, როგორც ქალებში თბილისისა, თითქმის ყოველთვის ჩემპიონი ხდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგან აკადემიელებს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ოთხი წევრი ჰყავთ. გამოვყოფდი ვეტერანთა გუნდსაც, რომელიც კარგად ასპარეზობს. თითქმის იგივე კლუბები მონაწილეობენ ქალთა ჩემპიონატშიც.

დღეს საქართველოში, როგორც მთელ მსოფლიოში, განვითარებულია ფრენბურთის ორი სახეობა — ჩვეულებრივი, ექსკაციანი და ეგრეთ წოდებული პლაჟის ანუ ორკაციანი. ჩვენს პირობებში უფრო პერსპექტიულად სწორედ პლაჟის ფრენბურთი მესახება, რადგან იგი ნაკლებ თანხებს მოითხოვს.

ერთი სიტყვით, ყველანაირად ვცდილობთ, საქართველოს ფრენბურთი შევუნარჩუნოთ. იგი ხომ ძალიან პოპულარულია მსოფლიოში და ოლიმპიადაზეც მისი ორივე სახეობა იყო წარმოდგენილი.

— ფრენბურთის გადარჩენას რომ ცდილობთ, კარგია, მაგრამ მხოლოდ საკუთარ წვენში ხარშვა რა ხეირს მოგვიტანს. ზემოთ ბრძანეთ, საერთაშორისო სარბიელზე გასვლის პერსპექტივა ჯერ არ ჩანსო. არადა, თუ ეს შესაძლებლობა არ გამოჩნდა, მაშინ მოთამაშეებიც უგანებენ ამ სახეობას. ენთუზიაზმის ამარა როდემდე გაძლებენ?

— ცოტა ხანს მართლაც ენთუზიაზმის ხარჯზე უნდა ვიყოთ. ძველი თაობა უკვე მობერდა. ძნელია, მას შედეგები მოსთხოვო. თანაც, ყველას თავისი პირადული პრობლემები აქვს. აქცენტი ახალგაზრდებზე უნდა გადავიტანოთ. ამას კი დრო სჭირდება. წარმოუდგენელია, უახლოესი ორი-სამი წლის მანძილზე ჩვენმა ფრენბურთმა საერთაშორისო სარბიელზე დიდ წარმატებას მიაღწიოს საკლუბო ან ნაკრების დონეზე. უფრო მეტიც, ფინანსური პრობლემების გამო კლუბების ევროთასებზე გასვლა ამ ეტაპზე შეუძლებელია. ნაკრების მწვრთნელ ვაჟა კაჭარავას თქმით, გუნდი რომ მოლონიერდეს, წელიწადში დაახლოებით 20 ათასი დოლარია საჭირო. ორ წელიწადში კი ეს ფული მოგებასაც მოგვცემს.

— საქმეც ეგაა. ძლიერი კლუბი ძლიერ ჩემპიონატს, ეს უკანასკნელი კი ძლიერ ნაკრებს ნიშნავს. ფედერაციაც პირველ რიგში იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ კლუბები მოძლიერდნენ. ამ მხრივ რას საქმიანობს თქვენი ფედერაცია, ან რას გულისხმობთ ზემოხსენებულ არასაბიუჯეტო შემოსავლებში?

— უკვე მოგახსენეთ, რომ ბიუჯეტიდან დაახლოებით 15 ათასი ლარი გამოგვიყვეს, რაც მხოლოდ ჩემპიონატის ჩასატარებლადაა საკმარისი. არასაბიუჯეტო შემოსავლები, რომელშიც შედის ლეგიონერთა ტრანსფერიდან და ბაზის გაქირავებით შემოსული თანხები, ამდენიც არაა. ეს ყველაფერი ფრენბურთს ხმარდება. ვეძებთ თანხების საშოვნ გზებს, რადგან ძლიერი კლუბები სწორედ ამით უნდა შეიქმნას. ეროვნულ ჩემპიონატზე ფერფერს გავხდით, თუმცა [illegible] ვები არის. საქმე ისაა, რომ შეიძლება ჩვენი ფედერაციის სპონსორობა იკისროს „ფანტამ", რომელმაც ახლახან კადეტთა ტურნირიც კი ჩაატარა. თუ ასე მოხდა, მაშინ ჩვენი მდგომარეობაც გამოსწორდება.

— სპორტის გარდა სხვა საქმეებითაც ბრძანდებით დაკავებული. ამით სპორტი ხომ არ ზარალდება?

— როცა პირველად მთხოვეს პრეზიდენტობა, არ მინდოდა და არ დავთანხმდი. ვეჭობდი, რომ ფრენბურთს გადავარჩენდი და ამიტომ არ მინდოდა. მერე, როცა აღარ მომეშვნენ, მეგობრებს უარი ვეღარ ვუთხარი. დღეს კი ყველას ვეუბნები, რომ თუ მოძებნით ჩემს შემცვლელს, თუ გადადგომას მთხოვთ, დღესვე წავალ ამ თანამდებობიდან-მეთქი.

— ესე იგი, გადადგომისთვის მზად ხართ...

— ნებისმიერ დროს, რადგან მე პრეზიდენტობისგან არაფერს ველი.

— ტოკიოში გამართულ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზეც მინდა გკითხოთ, რომლის მუშაობაში თქვენც მონაწილეობდით.

— ეს კონგრესი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გაიმართა და უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. უმთავრესად ახალი წესების თაობაზე იმსჯელეს, რომლებმაც ფრენბურთის პარტიების ხანგრძლივობა უნდა შეამციროს.

1990 წელს ჩვენ ვერ წავედით ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ შესარჩევ ტურნირზე. ამისთვის საერთაშორისო ფედერაციამ დაახლოებით 4 ათასი დოლარით დაგვაჯარიმა. ამ თანხის გადახდა დღემდე ვერ მოხერხდა და ამჟამად მისმა ოდენობამ 14 ათას დოლარს მიაღწია. ტოკიოში ამის თაობაზე ვესაუბრე ევროპის ფედერაციის პრეზიდენტ ანდერსენს, რომელიც ამავდროულად მსოფლიოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. იგი შემპირდა, რომ მომავალ კონგრესზე დააყენებს ამ ვალის ჩამოწერის საკითხს.

ირაკლი თაგაძე

ესპანური არმადის ცოდვა კარიბელ მეკობრეთა კისერზეა



იაპონიაში, ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მორიგი, მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართა. მეოთხედფინალური ეტაპის ამ ბოლოსწინა ტურში ზოგიერთ ნაკრებს შანსი ჰქონდა, ვადამდე გაეწყვიტინა ნახევარფინალებში მონაწილეობა. ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს ბრაზილიელებმა და იუგოსლავიელებმა. მეტიც, სამხრეთამერიკელებმა თავიანთ ჯგუფში პირველი ადგილიც დაიბრუნეს, იუგებს კი ამის მისაღწევად დღეს ერთადერთი პარტიის მოგებაც ეყოფათ რუსებთან.

დაუბრუნდეთ გუშინდელ ტურს. პირველ მეოთხედფინალურ ჯგუფში ყველაზე საინტერესო კუბისა და ესპანეთის დაპირისპირება იყო: ამ შეხვედრაში გამარჯვებული პრაქტიკულად ნახევარფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებდა. თუმცა ოსკელმა მაყურებელმა ასევე არ განსაჯა და ამ მატჩის სანახავად მხოლოდ 700 კაცი მივიდა. კუბელები ბრაზილიასთან წინა ტურში მარცხის შემდეგ მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ, ისევე როგორც ესპანელები. თავიდან ესპანელებმა უკეთ დაიწყეს და პირველი პარტიაც მოიგეს, თუმცა მომდევნო ორში საკუთარი თავის აჩრდილებიდა იყვნენ და მეტოქეს თითქმის უბრძოლველად დანებდნენ — 4:15, 5:15. ამის მერე შკვ კუბელები მოდუნდნენ, ეგონათ, ეგაა, ოლად გავიმარჯვეთო და დაისაკნენ კიდეც — ევროპელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. გადამწყვეტი პარტიაში კი მაინც უფრო გამოცდილმა კარიბელებმა იმარჯვეს და ესპანელებს, ფაქტობრივად, ნახევარფინალისკენ საკალი გზა გადაუღობეს. „მოწინააღმდეგის მრავალფეროვანმა თამაშმა თავგზა აგვიბნია. კუბელები ჩვენზე ბევრად გამოცდილები არიან და ამნაგ გარკვეული როლი ითამაშა ჩვენს წაგებაში. ნახევარფინალში რომ გავსულიყვით, რისი იმედი თითქმის აღარ მაქვს, ესპანური ფრენბურთის ისტორიაში ეს ყველაზე დიდი წარმატება იქნებოდა" — გულდაწყვეტილმა თქვა პირინეელთა ნაკრების კაპიტანმა ვენენსიო კოსტამ.

ჯგუფის ლიდერი ბრაზილიელები მეზობელ არგენტინელებს შეხვდნენ და საოცარ 39 წუთში 3:1 მოუგეს. ბრაზილიელები ამ ტურნირზე ჯერჯერობით წაუგებელნი არიან და მათი დამარცხება ყველას გაუჭირდება. „დღევანდელი თამაშის ტემპი ძალიან დაბალი იყო. გამარჯვებაში ეჭვიც არ შემპარვია. ჩემი შეგირდებით კმაყოფილი ვარ და ტურნირის მოგებაც სავსებით ძალგვიძს" — იმედიანად იყო ბრაზილიელთა თავკაცი ფილიო ლატარი. მისი არგენტინელი კოლეგა დანიელ კასტელანიც არ იყო მთლად ნირწამხდარი: „მეტოქე აშკარად გვჯობდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ჩვენ კი ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე შეძენილი გამოცდილება მომავალი ტურნირებისთვის, განსაკუთრებით სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის გამოგვადგება."

ისევ წააგეს მასპინძლებმა. მათი თამაშის სანახავად სარეკორდო რაოდენობის გულშემატკივარი მივიდა ოსაკას სპორტდარბაზში — 10 000, მაგრამ მათმა გამამხნევებელმა შეძახილებმაც კი ვერაფერი უშველა იაპონიის სუსტ გუნდს. პირველი პარტია იაპონელთა გამარჯვებით კი დამთავრდა, მაგრამ მერე მეტის გაკეთება ველარ შეძლეს, უფრო სწორად, მოწინააღმდეგემ არ მისცა მეტის გაკეთების საშუალება. კანადელები მეორე პარტიიდან გაყოჩაღდნენ და ორსაათიანი ბრძოლა თავიანთ სასარგებლოდ დამთავრეს. „კარგად დავიწყეთ და პირველი გამარჯვების მოპოვების იმედიც მომეცა, მაგრამ მეტოქე დღესაც ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა. იქნებ ხვალ მაინც მოვიგოთ და ტურნირი მთლად უსახელოდ არ დავამთავროთ" — ლამის ცრემლები ღვარა ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრების თავკაცმა ფუტომი ტერამაკარიმ, რომლის მზეც, ალბათ, ტურნირის დამთავრებისთანავე ჩაესვენება.

მეორე ჯგუფის ცენტრალური მატჩი — იტალია-იუგოსლავია. ორივე ნაკრები დაუმარცხებელი იყო და ტურნირის მთავარ ფავორიტებადაც ითვლებიან. თანაც მოგებული ნახევარფინალში თამაშის უფლებასაც მეოთხედფინალური ეტაპის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ინაღდებდა. ამიტომაც მეტოქეებმა თავი არ დაზოგეს. ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანმა იუგოსლავიამ წინა ტურში ოლიმპიური ჩემპიონი ჰოლანდია დამარცხა, გუშინ კი მის გზას ვიცე-ჩემპიონი იტალიაც გაუყენა. ორივე გუნდის ფრენბურთელები დიდებულად ირჯებოდნენ და თუ იტალიელებმა წააგეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ მეტოქეზე ცუდად ითამაშეს. უბრალოდ, ბედი ხან ვის გაუღიმებს, ხან ვის. „3:0 მოვიგეთ, მაგრამ შეიძლებოდა 0:3 დავმარცხებულიყავით, იმდენად თანაბარძალოვანი ნაკრებები ვართ ჩვენ და იტალია, ამაზე პარტიების შედეგებიც მეტყველებს — 15:12, 15:13, 15:13. ვფიქრობ, ჩვენ კიდევ ერთხელ შევხვდებით ერთმანეთს, ოღონდ ამჯერად ფინალში" — მეტოქეს საკადრისი მიაგო იუგების თავკაცმა ზორან გაიჩმა. „ლამაზი თამაში იყო, ალბათ, ყველა ისიამოვნებდა მისი ცქერით. ჩვენი მოწინააღმდეგე მშვენივრად გაისარჯა. იმედია, ორივენი ფინალში გავალთ და რევანშის აღებას შევძლებთ" — იუგოსლავია-იტალიის ფინალის მომხრეა აპენინელთა მწვრთნელი პაულო დე ფრეიტასიც.

REUTERS ოსაკადან

ბრაზილია — არგენტინა. ფეხბურთით ცნობილი ეს ქვეყნები ფრენბურთშიც მაგრები არიან

ნახევარფინალში გასვლის მკირედი შანსი შენარჩუნა რუსეთის ნაკრებმაც, რომელმაც აშკარად სათანადო ფორმაში ვერმყოფი ჰოლანდიის ნაკრები დაამარცხა. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად რუსებმა იუგოსლავიას აუცილებლად უნდა მოუგონ, თუმცა მათი ბედი მაინც იტალია-ჰოლანდიის თამაშზე იქნება დამოკიდებული. „კარგად ვითამაშეთ და მეტად საჭირო გამარჯვებაც მოვიპოვეთ. იმედი მაქვს, ხვალ საწყის ეტაპზე იუგოსლავიასთან მარცხისთვის რევანშს ავიღებთ და ნახევარფინალშიც გავალთ" — თქვა რუსების თავკაცმა გენადი ჩიჩულინმა. ჩვენ კი ისევ დაგვრჩენია, დღევანდელ მატჩებს დავესწროთ, ისინი მართლაც საინტერესონი იქნებიან.

გაიოზ თალაძგაძე

მეოთხედფინალური ჯგუფები

VI ტური

კუბა — ესპანეთი 3:2 (12:15, 15:4, 15:5, 7:15, 15:12)
ბრაზილია — არგენტინა 3:1 (15:11, 7:15, 15:2, 15:10)
ბულგარეთი — კორეა 3:1 (11:15, 15:10, 15:8, 16:14)
კანადა — იაპონია 3:1 (11:15, 15:8, 15:9, 15:9)
აშშ — საბერძნეთი 3:0 (15:9, 15:11, 15:11)
ჩინეთი — უკრაინა 3:1 (15:10, 10:15, 15:10, 16:14)
იუგოსლავია — იტალია 3:0 (15:12, 15:13, 15:13)
რუსეთი — ჰოლანდია 3:0 (15:6, 15:12, 15:11)

სატურნირო ვითარება

I მეოთხედფინალური ჯგუფი

ბრაზილია	6	6	0	18:2	12
კუბა	6	5	1	15:8	11
ესპანეთი	6	4	2	17:9	10
ბულგარეთი	6	3	3	11:12	9
კანადა	6	3	3	10:13	9
არგენტინა	6	2	4	11:13	8
კორეა	6	1	5	4:17	7
იაპონია	6	0	6	7:18	6

II მეოთხედფინალური ჯგუფი

იუგოსლავია	6	6	0	18:1	12
იტალია	6	5	1	15:4	11
რუსეთი	6	5	1	16:7	11
ჰოლანდია	6	4	2	12:7	10
აშშ	6	1	5	7:15	7
საბერძნეთი	6	1	5	5:16	7
ჩინეთი	6	1	5	5:16	7
უკრაინა	6	1	5	5:17	7

დღეს, მეოთხედფინალურ ჯგუფებში ბოლო, მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართება: არგენტინა — კუბა, ესპანეთი — ბრაზილია, კორეა — კანადა, იაპონია — ბულგარეთი, აშშ — ჩინეთი, უკრაინა — საბერძნეთი, რუსეთი — იუგოსლავია და იტალია — ჰოლანდია.

მსაჯი ყველა ვერ იქნება!

ბადრი კეთილაძის ფოტო

მსაჯობა, რა მტკიცება უნდა, უაღრესად რთული, საპასუხისმგებლო საქმეა და როგორც პროცესი მოიცავს მრავალ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორს, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენს ამ პროცესზე, მის დონეზე. მსაჯი მოვალეა, დაფიქსიროს შეჯიბრების მონაწილეთა შეცდომები, წესების დარღვევა, მაგრამ გამორიცხული არ არის, თავადაც შეცდეს, რასაც სწორედ ზემოთ ნახსენები ფაქტორები განაპირობებს. მსაჯი შესაძლოა შეცდეს განზრახაც ანუ იყოს მიკერძოებული, ანაც მისი შეცდომა განაპირობოს არაერთმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორმა. მსაჯი ხომ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის (თან მილიონობით ტელემაყურებლის) თვალწინ საქმიანობს, რაც მას უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. ამან, შესაძლოა, მსაჯში სტრესული მდგომარეობაც აღმოაცენოს, ეს კი, ნეგატიური მოლოდინი და შემაწუხებელი, აკვიატებული ფიქრები, თავისთავად დაეტყობა მსაჯობის ხარისხს. გარკვეულ გავლენას ახდენს მსაჯობაზე არბიტრის მატჩისწინა მდგომარეობის ტიპიც (ზოგი, შესაძლოა, იყოს ინდიფერენტული, ზოგმაც საშუალოდ იღელვოს, ზოგსაც ინტენსიურად მიეძალოს სტრესები). ქვემოთ შედარებით დეტალურად კი ვისაუბრებთ მსაჯისა და მსაჯობის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, მაგრამ უმთავრესის თქმა ახლავე შეიძლება: საიმისოდ, რომ გაუმჯობესდეს მსაჯობის დონე-ხარისხი, საჭიროა მსაჯთა მომზადების არსებული მოდელის შეცვლა.

მსაჯისა და მსაჯობის ფსიქოლოგიური თავისებურებანი

სპორტს, როგორც ადამიანური ქცევის ერთ-ერთ დამოუკიდებელ ფორმას, მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. უპირველეს ყოვლისა, იგი განიხილება ფიზიკური თვისებების განვითარების საშუალებად. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი სპორტი შეჯიბრებით მოტივირებული ისეთი ქცევაა, რომელიც სრულყოფს და განამტკიცებს მოტორულ ფუნქციას. პედაგოგიკა სპორტს განიხილავს აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად. ამასთან, სპორტი არათუ მოიცავს ეკონომიკა-კომერციას, არამედ ამ თვალსაზრისით ერთგვარ ფენომენადაც ჩამოყალიბდა მასში მოტრიალე დიდძალი თანხების წყალობით. გავიხსენოთ ფეხბურთი, კალათბური, ჰოკეი, კრივი, ჩოგბურთი და სხვა სახეობანი, რომლებიც აურაცხელ შემოსავლებს იძლევიან. სპორტს პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავს: იგი განვითარების კულმინაციას აყვავებულ, ძლიერ ქვეყანაში აღწევს და ამიტომ ესა თუ ის ქვეყანა ყველანაირად უწყობს ხელს სპორტის განვითარებას, დიდ სპორტულ მიღწევებს იყენებენ იმის უტყუარ საბუთად, რომ ესა თუ ის სახელმწიფოებრივი წყობა, მისი სტრუქტურა პროგრესიულია და, ამდენად, გამართლებული. რუსული საბჭოთა იმპერიული ხელისუფლება გავიხსენოთ: რა ძალუმი, რა მასშტაბური იყო „ჩვენი სპორტსმენების" მიღწევათა პროპაგანდა „საბჭოური ცხოვრების წესის" განსადიდებლად. თან ეს ყველაფერი მეთვლებოდათ რუსებს, რაც რუსეთის სიდიადის და განსაკუთრებულობის წარმოჩენას ემსახურებოდა, დამონებულ ერებში კი არასრულფასოვნების კომპლექსი უნდა ჩამოეყალიბებინა. თუმცა სწორედ რუსებთან მოპოვებული გამარჯვებები რამდენადმე ხსნიდა არასრულფასოვნების კომპლექსს და ამაღლებდა ეროვნულ სულს.

ცნობილია, სპორტში (ჩვეის შემუშავების პროცესი, წვრთნა, შეჯიბრება) ყველაფერი შეჯიბრებითაა განპირობებული. შეჯიბრება სპორტის არსია, სადაც მეტოქესთან პაექრობაში კმაყოფილდება ჩვეის შემუშავებისა და წვრთნის პროცესში გამომუშავებული და განვითარებული სპორტული შესაძლებლობების (ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური, თეორიული და ფსიქოლოგიური მომზადება) მაქსიმალურად გამოვლენის მოთხოვნილება. პიროვნული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა შეჯიბრებაში დასახული კონკრეტული ამოცანების თუ მიზნების გადაწყვეტისა და მიღწევის ერთადერთი საშუალებაა. შეჯიბრების მრავალრიცხოვან მონაწილეთ, ცხადია, განსხვავებული ამოცანები და მიზნები აქვთ. ფავორიტები გამარჯვებისთვის, საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან, აუტსაიდერებს მოკრძალებული პრეტენზიები ამოძრავებთ — სპორტული კვალიფიკაციის ამაღლება, გუნდისთვის ჩასათვლელი ქულების მოტანა, ხუთეულში ან ათეულში მოხვედრა და ა.შ.

შეჯიბრების პროცესში დასახული მიზნის მიღწევა ურთულესი, უმძიმესი პროცესია. წარმატება-წარუმატებლობა მრავალი ცნობილი თუ უცნობი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორითაა გაპირობებული. ამ ფაქტორთაგან აღსანიშნავია როგორც სპორტის სახეობის, ასევე პიროვნების ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური თავისებურებანი. მაგალითად, სპორტულ ორთაბრძოლებსა და გუნდურ სახეობებში (ჭიდაობა, კრივი, ფარიკაობა, ფეხბურთი, კალათბური, ხელბურთი და ა.შ.) სპორტის ინდივიდუალურ სახეობათაგან განსხვავებით (სიმაღლეზე, სიგრძეზე, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომები, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბირთვის კვრა, ბადროსა და შუბის ტყორცნა და სხვა მრავალი) შეჯიბრებაში მეტოქე აუცილებლად ცოცხალი ინდივიდია. სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში კი მეტოქეა არა ცოცხალი ინდივიდი, არამედ სხვათა მიერ ან სხვა ვითარებაში ნაჩვენები სპორტული შედეგები. ორთაბრძოლისას და გუნდურ სახეობებში შეჯიბრებისას მეტოქეები მსგავს მიზნებსა და ამოცანებს ისახავენ. შეჯიბრების მონაწილემ ისე უნდა წარმართოს მოქმედება, რომ მეტოქეს არ მისცეს თავისი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა, თავად კი უნდა შეიქმნას ისეთი ოპტიმალური პირობები, სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და, საბოლოო ჯამში, წარმატებას რომ უზრუნველყოფს.

ორთაბრძოლებსა და გუნდურ სახეობებში სირთულეებს ქმნის ისიც, რომ შეჯიბრების პროცესში სიტუაციები ისეთი სისწრაფით მონაცვლეობენ, თითქმის შეუძლებელია მოვლენების განვითარების პროგნოზირება. გარკვეულ სირთულეებს ქმნის შეჯიბრების მონაწილეთა სიმრავლეც, ისიც, რომ გუნდი დაკომპლექტებულია განსხვავებული პიროვნებებით, რაც ქმნის სპორტული გუნდის, როგორც კოლექტივის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ სირთულეებს.

შეჯიბრების პროცესში სპორტსმენის მოქმედება მკაცრადაა რეგლამენტირებული შეჯიბრების წესებით: შეჯიბრებისას სპორტსმენს რისი უფლება აქვს და რისი არა, რა ეკრძალება და რა არა. შეჯიბრების მონაწილეთა ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, არ არსებობს გარანტია, რომ შეჯიბრების ყველა მონაწილე მტკიცედ დაიცავს შეჯიბრების წესებს. ზოგიერთი მონაწილის პიროვნებაში სჭარბობს იმპულსური, ზოგში კი ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ქცევები. იმპულსურ პიროვნებებს უჭირთ, წინ აღუდგნენ აქტუალური მოთხოვნილებებიდან მომდინარე იმპულსებს და უშუალოდ — იმპულსურად იკმაყოფილებენ ქცევაში მოთხოვნილებას. ამიტომაც ისინი ხასიათდებიან თავშეუკავებლობით, არაორგანიზებულობით, უდისციპლინობით და ა.შ. იმ პიროვნებებისთვის კი, რომლებშიც სჭარბობს ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე ქცევები, დამახასიათებელია ის, რომ მათ ქცევას აკონტროლებს ნებელობა და აზროვნება, ისინი თავშეკავებულნი არიან, „ათასჯერ ზომავენ და ერთხელ ჭრიან", მოუფიქრებლად არაფერს აკეთებენ. ყოველივე ამის გამო შეჯიბრების მონაწილე იმპულსური პიროვნებებისგან მოსალოდნელია წესების უგულებელყოფა. ამიტომაცაა აუცილებელი შეჯიბრების პროცესში სპორტსმენთა მოქმედების კვალიფიკაციური კონტროლი, მათი ობიექტური შეფასება და ამის ნიადაგზე შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა. ასეთ პიროვნებას სპორტში ეწოდება მსაჯი, რომელმაც შესანიშნავად უნდა იცოდეს როგორც სპორტის სახეობა, ასევე, ცხადია, შეჯიბრების წესები. მსაჯი ვალდებულია, დროულად დაიწყოს შეჯიბრება, უზრუნველყოს მისი ნორმალური მიმდინარეობა და ასევე დროულად დამთავროს იგი. ერთი სიტყვით, მსაჯზეა დამოკიდებული, როგორ წარმართავს შეჯიბრებას. ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მსაჯის პიროვნებას: როგორია იგი, როგორია მისი მორალური სახე, შეესატყვისება თუ არა მსაჯის პიროვნული შესაძლებლობები სპორტის სახეობის ფსიქოგრამას. სამწუხაროდ, ამ საკითხებს ჩვენში არ ექცევა არავითარი ყურადღება მსაჯთა კადრების მომზადებისას. მსაჯთა მოსამზადებელ კურსებზე ყველას ეძლევა უფლება, გახდეს მსაჯი, თუ კარგად იცის სპორტის სახეობა და შეჯიბრების წესები, დანარჩენ კომპონენტები იგნორირებულია. ვფიქრობთ, ჩვენი მსაჯების უმრავლესობა ღირსეულად ართმევს თავს მოვალეობას, მაგრამ რამდენია ულირსი მსაჯიც, რომლებიც თავისი მსაჯობით უდიდეს ზიანს აყენებენ არა მხოლოდ სპორტს, არამედ მრავალრიცხოვან მაყურებელს და განსაკუთრებით მათ ჯანმრთელობას. არაკვალიფიციური მსაჯობის მიზეზი, ჩვენი აზრით, მრავალია. შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

პირველ რიგში არაკვალიფიციურ მსაჯობას განაპირობებს სპორტის სახეობის თავისებურებები და ფსიქოგრამის მოთხოვნებისადმი პიროვნული უნარის შეუსაბამობა. მაგალითად, ორთაბრძოლებისას და გუნდურ სახეობებში სიტუაციები უსწრაფესად იცვლება, რაც მსაჯისგან ითხოვს სწრაფ გადანაცვლებას. ცხადია, ძნელად მოძრავი ტიპი დაგვიანებს გადანაცვლებას და, ამდენად, მივიღებთ მსაჯის არაადექვატურ ქცევას. მსაჯს უნდა შეეძლოს შეჯიბრების პროცესში ყველანაირი მოვლენის უსწრაფესი აღქმა, ასევე ანალიზი და შეფასება. ამის შემდეგ სწრაფადვე უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მაგრამ რა ქნას იმ მსაჯმა, რომელსაც, პიროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე, არ შეუძლია სწორი გადაწყვეტილების სწრაფად გამოტანა (ახასიათებს ყოყმანი)? მსაჯს, სასურველია, ჰქონდეს ყურადღების საშუალოზე მაღალი დონე (არსებობენ პიროვნებები, რომელთაც ყურადღების მოცულობა საშუალოზე დაბალი აქვთ). მსაჯის ყურადღება მყარი უნდა იყოს, ესე იგი, მას უნდა ახასიათებდეს უცხო, ხელშემშლელი გამღიზიანებლებისადმი წინააღმდეგობის გაწევის მაღალი დონე (არსებობენ ისეთებიც, რომელთაც ყურადღების ინტენსიური მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმიანობის (მსაჯობის) ხელშემშლელი გამღიზიანებლების მოქმედება აღკვეთილია) და სხვა მრავალი.

გარდა ამისა, მსაჯს უნდა ახასიათებდეს ისეთი პიროვნული მონაცემებიც, რომლებიც ხელს უწყობენ მაღალკვალიფიციურ მსაჯობას. მაგალითად, თავშეკავება. არცთუ იშვიათად მოთამაშეები და მრავალრიცხოვანი მაყურებელი არ ეთანხმებიან მსაჯის გადაწყვეტილებებს, ასეთი რეაგირება ხშირად ვერ თავსდება ეთიკურ ნორმებში — სტვენა, უშვერი ლანძღვა-გინება, შეურაცხმყოფელი სიტყვები, მსაჯი ზოგჯერ ილახება კიდეც და ა.შ. თავშეუკავებელი მსაჯი, ცხადია, ვერ ისარგებლებს მაღალი რეპუტაციით. საიმისოდ, რომ შეჯიბრება ნორმალურად ჩატარდეს, მსაჯი უნდა იყოს უაღრესად პატიოსანი, კორუფციისგან შორს მდგომი, პრინციპული, არ უნდა ემორჩილებოდეს არანაირ ზეწოლას. ახლაც მ[illegible] ხსოვს საბჭოთა კავშირის დროინდელ[illegible] არბიტრები ფეხბურთში, რომლებიც ან ზ[illegible] მდგომი ორგანოების მითითებით ან აღ[illegible] ბული ქრთამის გამო მსაჯობდნენ ისე, რ[illegible] გორც მოენებებოდათ (ლატიშევი, ცაპაკ[illegible] ცკი, კაზაკოვი, ალოვი, ბასკაკოვი და სხ[illegible] ვანი). ასეთი მსაჯობა საზოგადოების გუ[illegible] ლისწყრომას და ერებს შორის დაპირის[illegible] პირებას იწვევდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ვიზრუნოთ მსაჯების მომზადების რეფორმაზე. სათანადო გამოკითხვ[illegible] საფუძველზე გაირკვა, რომ მსაჯობის უ[illegible] ლება ეძლევა აბსოლუტურად ყველას, ვ[illegible] საც აქვს სპორტული გამოცდილება დ[illegible] იცის შეჯიბრების წესები, ხოლო თ[illegible] რამდენად შეესაბამება მსაჯის პიროვნულ[illegible] მონაცემები მაღალკვალიფიციური მსაჯ[illegible] ბისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, უფ[illegible] რადღებოდა დატოვებული. ვფიქრობთ, მ[illegible] მავალ მსაჯს ვიზა უნდა მიეცეს სათანად[illegible] ტესტირების და მსაჯობის კანდიდატ[illegible] ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნის შ[illegible] მდეგ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმ[illegible] სოდ, რომ გზა გადაეკეტოთ უღირს პირ[illegible] ვნებებს მსაჯობისკენ, რაც უთუოდ წად[illegible] გება როგორც სპორტს, ასევე გელშემტ[illegible] კოვარს. სპორტის ფსიქოლოგიის ქართველ[illegible] სპეციალისტებს ძალუძთ, აქტიური მონ[illegible] წილეობა მიიღონ ზემოთ განხილული ს[illegible] კითხის მოგვარებაში.

გივი დვალ[illegible]
ფიზიკური აღზრდის დ[illegible]
სპორტის აკადემიი[illegible]
ფსიქოლოგიისა დ[illegible]
პედაგოგიკის კათედრის გამგ[illegible]
სპორტის ფსიქოლოგთ[illegible]
ეროვნული ასოციაციი[illegible]
ვიცეპრეზიდენტი, ფსიქოლოგიი[illegible]
მეცნიერებათა კანდიდატ[illegible]

პორტლენდის ოქრო

რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პორტლენდში დასრულდა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ძალისმიერ ორჭიდში, სადაც საქართველოს ორმა წარგზავნილმა — გიორგი მინდიაშვილმა და მიხეილ მანუკიანმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

ძალისმიერი ორჭიდი გარკვეულწილად სპორტის ახალი სახეობაა და ძალისმიერი სამჭიდის „პირმშოს" წარმოადგენს. სპორტის ამ სახეობაში, სამჭიდისგან განსხვავებით, შეჯიბრებები მხოლოდ წოლჭიმსა და ამოწევაში იმართება. სხვათა შორის, ძალისმიერი ორჭიდი შესაძლოა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანონ.

მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში საქართველოდან მხოლოდ სამი სპორტსმენი მონაწილეობდა (გამარჯვებულთა გარდა პორტლენდს სოსო ხაზარაძეც გაემგზავრა), არადა, რომ არა უსახსრობა, საქართველოს ნაკრები გაცილებით წარმომადგენლობითი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ სამივე სპორტსმენი ათლეტიზმის კლუბ „ამირანის" წევრია.

პირველი გამარჯვება 21 წლის მიხეილ მანუკიანმა იზეიმა — 82,5 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში თბილისელმა ათლეტმა ოქროს მედალი მოიპოვა წოლჭიმში. მის მიერ დაძლეული 200 კილოგრამი ახალი მსოფლიოს რეკორდია. მან ათი კილოგრამით გაუმჯობესა ძველი მიღწევა.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონი გახდა გიორგი მინდიაშვილიც. არც ამ 19 წლის ძალოსანმა დატოვა ასპარეზი ურეკორდოდ. ამოწევაში მან 270 კილოგრამი დაძლია, რაც თანატოლთა შორის დღემდე ნაჩვენები საუკეთესო შედეგია. მინდიაშვილის მიღწევამ ტურნირიზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა — ხუმრობა საქმე ხომ არაა, ძველ რეკორდს მან მთელი 38 კილოგრამით გადაჭარბა!

ჩემპიონატის დასრულებისთანავე გამარჯვებულ ათლეტებს ძალისმიერი ორჭიდის მსოფლიოს ფედერაციის პრეზიდენტი, ამერიკის ყველა დროის საუკეთესო ათლეტი და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი გას რეტვიში შეხვდა, რომელმაც ქართველ სპორტსმენებს ამერიკელ პროფესიონალთა კომერციულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ლიცენზია გადასცა.

თბილისელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ზურაბ ჭავჭანიძეს და ახალგაზრდა ინსტრუქტორებს გოგა დარჩიას და ნიკოლოზ სარალიძეს.

ლაშა გოდუაძე



გიორგი მინდიაშვილი, გას რეტვიში და მიხეილ მანუკიანი

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

სპორტის სასახლეში გასამართ საკალათბურთო მატჩებზე ერთწლიანი აკრედიტაციისთვის, გთხოვთ, 26-27 ნოემბერს წარადგინოთ განაცხადი (ფოტოსთან ერთად) საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში (რუსთაველის, 42)

ქენია გაუოუოჩდა

REUTERS ჯინიფერიდან

კუჩერამ სარეკლამო აბრებზე გაისეირნა

ჰანოვერი. გერმანია. ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე დარბაზში. საპრიზო 3,5 მილიონი $

I ტური

წითელი ჯგუფი

პიტ სამპრასი (1, აშშ) — ევგენი კაფელნიკოვი (8, რუსეთი 6:2, 6:4

პირადი შეხვედრები — 9:2

ევგენი კაფელნიკოვი ის ჩოგბურთელია, რომელმაც პიტ სამპრასს ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად დამკვიდრების საუკეთესო შესაძლებლობა წაართვა. სეზონ ის არის, რომ ამერიკელის ოპონენტებს მთავარ არგუმენტად მისი თინხარზე სუსტი თამაში მოჰყავთ. 1996 წლის როლან გაროსზე „პისტოლ პეტი“ პირველად და ვერ-ერობით უკანასკნელადაც, ნახევარფინალში გავიდა და ავისმთქმელთა საბოლოოდ ჩაუბების შესანიშნავი შანსი მიეცა. მისი მეტოქე სოჭელი ყენია გახლდათ, რომელიც მანამდე ამტკიცებდა, საფრანგეთის ღია პირველობის მომგები ცხოვრებაში არ ვარო. მაგრამ ფინალის საგზური მსოფლიოს პირველ ჩოგანს კი არა, სწორედ რუსს დარჩა.

იმ „ძაღლის ნაკბენიდან“ მოყოლებული, დამღმელი სამპრასი მუდამ ცდილობს, შური იძიოს — მის ანგარიშზე რუსთან უკვე ზედიზედ შვიდი მოგებაა, თანაც სეტის წაუგებლად. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში გამწარებული კაფელნიკოვი კი დაიქადნა, პიტის უძლეველობის მითს ბოლოს მოვუღებო, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩს ამის არაფერი ეტყობოდა.

პირველი ხელი სამპრასის სრული უპირატესობით წარიმართა: მთელი სეტის მანძილზე საკუთარ მოწოდებაზე მან მხოლოდ ორი ქულა დაკარგა, მეტოქის უსუსურ მღუებს კი ბადესთან ზუსტი და უშეცდომო თამაშით პასუხობდა. თავის მხრივ, რუსიც ყველანაირად უწყობდა მეტოქეს ხელს — მესამე გეიმში სამი ორმაგი შეცდომით პიტს ბრეიკი თავად გადაულიცა.

კაფელნიკოვისთვის მეორე ხელიც კატასტროფულად დაიწყო — პირველივე თავისი მოწოდება ისევ ორმაგი შეცდომების გამო (სულ 9) დაკარგა, მომდევნო გეიმში ბრეკ-პოინტის გამოყენებლობისთვის ლაზათიანად შეიკურთხა და მსაჯისგან შენიშვნაც დიმსახურა. მატჩს ისეთი პირი უჩანდა, ლოგიკურად და სწრაფად უნდა დასრულებულიყო, როდესაც კაფელნიკოვს ზედიზედ რამდენიმე ხერხიანი მღება გამოუვიდა, სამპრასს მოწოდება მშრალზე აართვა და ანგარიში გაათანაბრა — 3:3.

რუსმა წინ გასვლა მინც ვერ მოახერხა, ერთ-ორი თავად გაფუჭა, სამპრასმა სუსტი „სმაშის“ პასუხად ბრწყინვალე შემოვლები დაარტყა, ბრეიკი გაახერხა და მალე მატჩ-პოინტების დროც დადგა. გამოუვალ სიტუაციაში მყოფმ რუსმა ბოლომდე იბრძოლა, გვერდითი მსაჯის შეცდომა რომ არა, ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ საბოლოოდ პიტმა მეექვსე მატჩ-პოინტით გაჭიანურებული აგონიას წერტილი დუსვა.

„ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი კარიერა ტურნირის კარგად დაწყება აუცილებელი იყო და ამისათვის ძალიან მოვწადინებული, ასეთ დონეს მომდევნო მატჩებშიც შევინარჩუნებ“ — განაცხადა სამპრასმა.

ძველ მეტოქესთან მორიგ მარცხს კაფელნიკოვის მატჩისშემდგომ განწყობაზე ოდნავაც არ უმოქმედია: „დღეს იგი მართლაც მჯობნიდა, მაგრამ დარწმნებული ვარ, ტურნირის ბოლოსთვის დაღლილი იქნება. ასე რომ, ჯგუფში შემდეგ ორ თამაშს რომ მოვიგებ და ფინალში შევხვდები, მატჩი შეიძლება სულ სხვანაირად წარიმართოს. „ეს კი არა, რუსმა კლასიფიკაციაში პირველობისთვის საბრასსა და მარსელო რიოსს შორის გაჩაღებული ბრძოლის მოგვარებაც კი საკუთარ თავზე აიღო: „პირველ ჩოგნად სამპრასი დარჩეს, რადგან რიოსს ნახევარფინალში მე მოვუგებ“

კარლოს მოია (4, ესპანეთი) — კაროლ კუჩერა (6, სლოვაკეთი) 6:7(5:7), 7:5, 6:3

პირადი შეხვედრები — 1:1

შეხვედრის დასაწყისში ბოლო კვირეებში რაცთუ წარმატებულად მოთამაშე ჩოგბურთელებმა ასეთი დონის მატჩისთვის შეუფერებლად ბევრი უნებლიე შეცდომით გამოიჩინეს თავი, მაგრამ კორტთან გასაშინაურებლად თუ ნერვების დასაოკებლად ოციოდ წუთი საკმარისი აღმოჩნდა.

პირველი სეტის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, სადაც სლოვაკი ოდნავ უფრო ზუსტი აღმოჩნდა. მაგრამ მანამდე ძირითადად უკანა ხაზზე მოთამაშე მოიამ თანდათან აგრესიულობასა და ბადესთან გასვლებს უმატა, მიწაზე დაუშვებელი ბურთით თამაშში მეტი ფხა გამოჩინა და კარგა ხნით მატჩი ცალკასს დაეშვაკა — 5:5-დან „როლან გაროსის“ ჩემპიონმა ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო.

მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოასპარეზე კუჩერამ გადამწყვეტ ხელში 0:3-დან ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მეტი ვერარ შეძლო: „ჰანოვერში პირველად ვთამაშობდი და ზედმეტად ვინერვიულე, თუმცა იმედია, მომდევნო მატჩებში მოვუმატებ. მინდა დავამტკიცო, რომ საუკეთესოთა ათეულში შემთხვევით არ მოვხვედრილვარ.“

ესპანელს ჰანოვერამდე წლეულს დარბაზებში არც ერთხელ არ მოეგო, ამიტომ წარმატებულმა სტარტმა ძალიან გაახარა: „ბოლო ხანებში არც ისე კარგად ვირეკებოდი, მაგრამ მნიშვნელოვანი მომენტებისთვის მობილიზება მეხერხება. თანაც აქ დასვენებული ჩამოვედი, რადგან შემოდგომაზე ადრეული წაგებების გამო ბევრი არ მითამაშია.“

თეთრი ჯგუფი

ტიმ ჰენმანი (7, ინგლისი) — მარსელო რიოსი (2, ჩილე) 7:5, 6:1

პირადი შეხვედრები — 0:2

მარსელო რიოსს პიტ სამპრასის კლასიფიკაციაში გასასწრებად ჰანოვერში ამერიკელზე უკეთ გარეკა სჭირდება, მაგრამ ჩემპიონატზე პირველი მატჩის შემდეგ პირველობისთვის ბრძოლა კი არა, ასპარეზობის გაგრძელება გაუხდა სათუო.

კარგა ხნის მანძილზე მეტოქეები იოლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებას: ჰენმანი ეისებისა და ბადესთან სწრაფი გასვლების, რიოსი — ზუსტი შემოვლებისა და მეტოქის ხშირი შეცდომების ხარჯზე ყველაფერი სეტის უკანასკნელ გეიმში შეიცვალა. პირველივე გათამაშებაზე ბადესთან მყოფმ ჩილელმა ჰენმანის მღება გაატარა, ბურთი კი ზედ უკანა ხაზზე დაეშვა. ამას განერვიულებულმა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ზედიზედ სამი უხერხო ბექჰენდი მიაყოლა და საკუთარი მოწოდება, მასთან კი პირველი სეტიც წაგო.

ჩილელს ენერგია ცოტა ხანს კი გაჰყვა, მაგრამ მეორე ხელის მესამე გეიმში თავისი ერთადერთი ბრეიკ-პოინტი რომ ვერ გამოიყენა, თამაშის სურვილი საბოლოოდ დაკარგა. 1:1-დან ინგლისელმა ზედიზედ ხუთი გეიმი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოიგო, რიოსს კი შეუნიღბავი გულგრილობა-სზარმაცისა და ძალად აცდენილი ბურთებისთვის მაყურებლებისგან გვარიანი სტვენაც ერგო.

მატჩის შემდეგ ჩილელმა თავის საქციელს სპპტიო მიზეზი გამოუნახა: „ზურგი ისე მტკივა, სირბილი და მოწოდება ძალიან მიჭირს, რაც უკვე ერთი თვეა, გრძელდება. ძალიან მინდა, ვითამაშო და პირველობის შანსი გამოვიყენო, მაგრამ თუ დილითაც ასე ცუდად ვიქნები, ამაზე უარის თქმა მომიხდება.“

თუმცა ტიმ ჰენმანმა ყოველივე სხვაგვარად ახსნა: „როდესაც აგებ და ყველაფერი შენთვის სასურველად არ ხდება, ზოგჯერ ტრავმა უფრო მხიმე გეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია.“

ავთანდილ სვანიძე

ფინიქსზე ყველა კბილებს იღესავს

24 ნოემბერი

ფინიქსი — ჩიკაგო 3:2

1:0 0:1 2:1

1:0 ტკაჩუკი 18'57 (11); 1:1 ამონტე 39'40 (14); 2:1 ტკაჩუკი 41'58 (12); 3:1 რენიკი 43'08 (6); 3:2 მორო 49'09 (4)

მოგეხსენებათ, ძალიან ძნელია, გახდე ლიდერი, მაგრამ დაკავებული პოზიციის შენარჩუნება უფრო რთულია. ამის დამტკიცება ახლა უხდება ფინიქსს, რომლის წინააღმდეგაც მეტოქეები სულ უფრო მეტი მონდომებით თამაშობენ. აუტსაიდერმა ჩიკაგომაც ისეთი დღე აყარა „კოიოტებს“, რომ ჯერემი რენიკმა გულწრფელად აღიარა, შარშან ასეთ ზეწოლას ნამდვილად ვერ გავუძლებდითო. მაგრამ ფინიქსელებმა, აგერ უკვე მერამდენედ, უდიესი ნებისყოფა გამოავლინეს და შეძლეს უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში გარდატეხის შეტანა. მეორე პერიოდში, როცა ბოლოდროინდელი უიღბლობით გაწამებულ ჩიკაგოელთა შტურმი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის ტონი ამონტეს გოლით დასრულდა, ბევრს ეგონა, რომ ბოლო მესამედშიც იგივე განმეორდებოდა. სხვაგვარად კი მოხდა — მასპინძლებმა კაპიტან კეიტ ტკაჩუკის (2+1) თავკაცობით, რომელსაც ექსჩიკაგოელი ჯერემი რენიკი ეხმარებოდა, სულ რაღაც სამ წუთში 2 შაიბა გაიტანეს და მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვეს. თუმცა, რომ არა მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი, ბოლო წამებზე ტონი ამონტე თავის გუნდს დამსახურებულ ქულას მოუტანდა.

REUTERS ფინიქსიდან

ფინიქსელ კეიტ ტკაჩუკს (მარცხნივ) მეტოქე მცველები და მეკარე ცეცხლივით უფრთხიან

ტამპა — ბოსტონი 1:4

1:0 0:0 0:4

1:0 პეტერსონი 2'39 (1); 1:1 ხრისტიჩი 42'20 (11); 1:2 ბურკი 54'19 (2); 1:3 პაინეი 56'53 (7); 1:4 მაკლარენი 68'41 (2)

მას შემდეგ, რაც ტამპელებმა ჟაკ ლემერთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს (ცნობილი სპეციალისტი გენერალური მენეჯერისა და მთავარი მწვრთნელის თანამდებობებს ითავსებს), კლუბმა საკმაოდ კარგ სტარტს უიღბლო სერია, ზედიზედ 6 მარცხი შეუნაცვლა, თანაც შაიბების სამარცხვინო თანაფარდობა აქვს — 8:36. ამჯერად „ელვებს“ მხოლოდ ორი პერიოდისთვის ეყოთ ძალა, მაგრამ რეი ბურკის გოლის შემდეგ დანებდნენ. ბოსტონელმა დმიტრი ხრისტიჩმა (1+2) ბოლო 3 მატჩში 8 (4+4) ქულა დააგროვა.

სენტ ლუისი — ნეშვილი 4:0

1:0 1:0 2:0

1:0 იანგი 7'45 (3); 2:0 დემიტრა 35'06 (10); 3:0 მაკინისი 53'22 (9); 4:0 ტარჯონი 58'34 (9)

მასპინძლებს არ გასჭირვებიათ ხუთი დღის წინანდელი მარცხისთვის რევანშის აღება, თანაც შინ ჩინებულად მოთამაშე „ბლუზმენთა“ რიცხვმრავლობის ბრიგადები კვლავ გამოირჩნენ. მცველმა ელ მაკინისმა (1+1) და ბლეიფერმა პიერ ტარჯონმა (1+1) 2-2 ქულა მითვალეს, ხოლო ბოლო ხანს სენტლუისელთა ლიდერად ქცეულმა სლოვაკმა პავოლ დემიტრამ (1+2) უკანასკნელ 7 თამაშში 12 (5+7) ქულა დააგროვა.

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ტორონტო	21	11	2	8	63:61	24
ოტავა	18	9	3	6	55:46	21
ბოსტონი	20	8	5	7	54:42	21
ბუფალო	16	8	4	4	45:29	20
მონრეალი	19	7	2	10	45:55	16

სამხრეთ-აღმოსავლეთი

კაროლინა	21	8	3	10	53:55	19
ფლორიდა	18	6	5	7	42:51	17
ვაშინგტონი	18	6	3	9	42:50	15
ტამპა	20	6	2	12	44:75	14

ატლანტა

ნიუ ჯერსი	18	11	1	6	44:42	23
პიტსბურგი	18	9	4	5	53:45	22
ფილადელფია	19	9	4	6	50:39	22
აილენდერსი	20	9	0	11	53:55	18
რეინჯერსი	19	5	6	8	46:51	16

ცენტრი

სენტ ლუისი	18	8	5	5	51:41	21
დეტროიტი	18	10	0	8	57:46	20
ნეშვილი	19	7	1	11	45:59	15
ჩიკაგო	21	5	3	13	41:75	13

წყნარი ოკეანე

ფინიქსი	16	12	2	2	46:24	26
დალასი	17	11	3	3	47:34	25
ანაჰაიმი	19	8	4	7	46:42	20
ლოს ანჯელესი	21	6	3	12	49:59	15
სან ხოსე	18	4	5	9	43:46	13

ჩრდილო-დასავლეთი

ედმონტონი	19	10	1	8	60:50	21
ვანკუვერი	20	9	1	10	62:53	19
კოლორადო	19	8	2	9	51:56	18
კალგარი	20	7	2	11	53:59	16

ბომბარდირები: კარია (ანაჰაიმი) 26(10+16) ფორსბერგი (კოლორადო)26(6+20) ლინდროსი (ფილადელფია) 25(11+14) იაგრი (პიტსბურგი) 25(5+20) ხრისტიჩი (ბოსტონი) 23(11+12) საკიკი (კოლორადო) 23(9+14) აიზერმანი (დეტროიტი) 22(9+13) სუნდინი (ტორონტო) 22(8+14) ლეკლერი (ფილადელფია) 21(12+9) ფლერი (კალგარი) და დემიტრა (სენტ ლუისი) 21(10+11) მესიე (ვანკუვერი) 21(9+12)

* * *

„ნიუ იორკ რეინჯერსის“ მესვეურებს, ეტყობა, დაავიწყდათ დიადი გრეტკის ასაკი. 37 წლის ვეტერანი, რომელიც ლიგაში მეოცე სეზონს ატარებს, ამდენ ხანს ყინულზე თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდშიც კი არ ყოფილა. სტატისტიკოსების გამოანგარიშებით, წლეულს უეინ ერთ მატჩში საშუალოდ 28 წუთს თამაშობს, ეს კი ექვსი წუთით აღემატება იმ დროს, რომელსაც ფორვარდი მოედანზე ატარებდა ედმონტონის შემადგენლობაში.

* * *

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნჰლ-ში მსოფლიოს საუკეთესო მეკარეები თამაშობენ. მათი თამაშის ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ლიგას ამ მხრივ აჰლ (ამერიკული ჰოკეის ლიგა) ამარაგებს და ნჰლ-ის კლუბე-ში მოთამაშე 62 მეკარედან 50 მაინც ოდესღაც ამ ქვედა ლიგაში ასპარეზობდა.

* * *

ჰოკეის გულშემატკივრებს სიხარულის საბაბი მიეცათ. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო შედეგიანობა — ერთ მატჩში 5,25 გოლი — ჯერჯერობით შარშანდელ შედეგს ჩამოუვარდება, ხოლო ბოლო 40 წლის განმავლობაში ყველაზე მცირეა, აღმავლობა მაინც იგრძნობა: თუ პირველ 50 თამაშზე საშუალოდ 4,7 გოლი მოდიოდა, შემდეგ თანმიმდევრული ზრდა დაფიქსირდა — 5,0, 5,3 და 5,7. ბოლო პერიოდში კი მაჩვენებელი (201-ედან 250-ე მატჩამდე) საკმაოდ მაღალია — 5,6.

* * *

ამ დღეებში ბუფალოსა და ტორონტოს შეხვედრაში საინტერესო ინციდენტი მოხდა. „ხმლებთან“ ზედიზედ მესამე მარცხით განაწყენებულმა ტორონტოელთა „აგრესორმა“ ტაი დომიმ მატჩის მიწურულს თავისი ახალგაზრდა მოწინააღმდეგის, მეტიუ ბარნაბის პროვოცირება სცადა, მიუახლოვდა და მუშტიც უთავაზა. ბარნაბი მას არ აჰყვა, მსაჯთან მივიდა და სთხოვა, დომის უხეშობისთვის ყურადღება მიექცია (ბარნაბი ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველად იყო მოედანზე). საბოლოოდ ტაი დომიმ ორწუთიან ჯარიმას გამოჰკრა ხელი.

* * *

„კაროლინა ჰერიკეინს“ მშობლიურ ქალაქ როლიში არენა არა აქვს (სტადიონი ახლა შენდება) და ამის გამო მეზობელ ქალაქ გრინსბოროში ატარებს მატჩებს. „კოლიზეუმი“ არცთუ ტევადია — 11059 ადგილიანი, მაგრამ იგი ხშირად სანახევროდ თუ ივსება. თუმც ჩემპიონატის სტარტზე კლუბის კარგმა თამაშმა და ძლიერი გუნდის, ფილადელფიის სტუმრობამ მაყურებელი ძალიან დაინტერესა და მხოლოდ 46 ბილეთი დარჩა გასაყიდი. დამზვდურთა სამწუხაროდ, ამ მატჩში „მფრინავებმა“ გაიმარჯვეს, მათმა მეკარემ რონ ჰეკსტოლმა კი 233-ე მოგებით კლუბის ახალი რეკორდი დაამყარა.

სამფელ ღარიბიანი

კვირის მოთამაშე

პოლ კარია (ანაჰაიმი)

წლეულს, 1 თებერვალს ჩიკაგოს მცველმა გერი სუტერმა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ანაჰაიმელი პოლ კარია ისე დაეშავა, რომ 24 წლის ფორვარდს რიგით მეოთხე ტვინის შერყევამ არა მარტო ნაგანოს ოლიმპიადაზე ასპარეზობის საშუალება არ მისცა, არამედ მთელი მისი კარიერა საეჭვო გახადა. ექიმები მთელი ზაფხულის განმავლობაში შეუძლებელს აკეთებდნენ, რათა ვარსკვლავი ყინულს დაბრუნებოდა და მართლაც, სასწაული მოხდა — კარია კიდეც გამოვკანმრთელდა და კვლავაც გვაოცებს ჩვეული ოსტატობით. ზედიზედ 9 მატჩია, ფორვარდი უქულოდ არ ტოვებს მოედანს, გასულ კვირას კი, როცა კლუბს ტრავმის გამო მეორე სუპერვარსკვლავი ტეემუ სელიანეც გამოაკლდა, ჰოკეისტი გაორკეცებული ენერგიით ათამაშდა. კარიამ 4 შეხვედრაში 7(3+4) ქულა დააგროვა და ბომბარდირთა სიას გაუძღვა, ხოლო მისმა გუნდმა 3 მატჩი მოიგო.

კვირის საუკეთესო ექვსეული:

გი ებერი (ანაჰაიმი, 2); დერენ ვან იმპი (ბოსტონი, 1) — ტეპო ნუმინენი (ფინიქსი, 1) პოლ კარია (ანაჰაიმი, 2) — სტივ აიზერმანი (დეტროიტი, 1) — მარტინ სტრაკა (პიტსბურგი, 1)

კლუბის დასახელების შემდეგ მითითებულია, რამდენჯერ დასახელდა ჰოკეისტი საუკეთესო ექვსეულში.

ტყუილად არ შრომენიათ

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გასულ კვირას მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნები მონტე კარლოში, „სელ დე ეტუალის“ სპორტულ კლუბში შეკრიბა და მათგან საუკეთესოებს პრიზები ჩამოურიგა.

1998 წლის საუკეთესო მძლეოსან მამაკაცად IAAF-მა ეთიოპელი სტაიერი ჰაილე გაბრესელასიე დაასახელა. საუკეთესო მძლეოსან ქალად კი ამერიკელი სპრინტერი მერიონ ჯონსი აღიარეს.

ორივე რჩეული ჯილდოს უდავოდ იმსახურებდა, მიზეზი კი უბრალო იყო — განვლილ სეზონში მათ ბადალი არ ჰყოლიათ.

მერიონ ჯონსი, წლევანდელი და გასული სეზონების საუკეთესო მძლეოსანი ქალი, წლეულს ერთადერთხელ დამარცხდა — სექტემბერში იოჰანესბურგში მსოფლიო თასის გათამაშებისას მას სიგრძეზე ხტომაში გერმანელმა ჰაიკე დრექსლერმა აჯობა. სხვა შეჯიბრებებზე ჯონსი შეუდარებელი იყო — 100 და 200 მეტრ დისტანციებზე წლის საუკეთესო შედეგებიც აჩვენა.

შესანიშნავად ასპარეზობდა გაბრესელასიეც. ეთიოპელმა სტაიერმა ჭერქვეშ 2000 და 3000 მეტრ დისტანციებზე მსოფლიოს რეკორდები დაამყარა, ასევე იმარჯვა 5000 და 10000 მეტრ დისტანციებზეც.

ორივე გამარჯვებულმა მოიგო IAAF-ის ოქროს ლიგა და შესაბამისად განკუთვნილი საპრიზო ფონდის დიდი ნაწილიც.

მამაკაც მძლეოსანთა შორის მეორე ადგილზე მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი გავიდა, მესამე კი ბრაზილიელი რონალდო და კოსტა გახლდათ. ქალთა შორის

REUTERS ბუდაპეშტიდან

ჯონსმა ჰაიკე დრექსლერს და კენიელ მარათონელს, მსოფლიო რეკორდსმენს ტეგლა ლორუპეს აჯობა.

საუკეთესო ახალგაზრდა მძლეოსან ვაჟად ბრიტანელი კრისტიან მალკოლმი დაასახელეს, რომელმაც მსოფლიოს იუნიორთა ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრზე რბენაში იმარჯვა, საუკეთესო ახალგაზრდა მძლეოსან ქალად კი კუბელი ოსლეიდის მენედესი აღიარეს, რომელიც სეზონის მანძილზე შუბის ტყორცნაში შეუდარებელი იყო.

წლის საუკეთესო მძლეოსანთა დაჯილდოებას ხიბლი იმანაც შემატა, რომ ცერემონიალის მიწურულს IAAF-მა მძლეოსნობის განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის ამერიკელი ლეგენდა ჯეკი ჯოინერ კირსი დააჯილდოვა.

შეუძლებელი იყო, IAAF-ის თავკაცებს ორი თვის წინ გარდაცვლილი ფლორენს გრიფიტ ჯოინერი დავივიწყებინათ. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ სამახსოვრო პრიზი ფლორენსის მეუღლეს და მის რვა წლის ქალიშვილ მერის გადასცა.

ბრიტანელები კონსერვატორები კი გახლავან, მაგრამ ახლახან ერთი ძველი ტრადიცია დაარღვიეს: სამხრეთ ლონდონის ერთ ღამის კლუბში პირველად გამართეს პროფესიონალ მოკრივე ქალთა ორთაბრძოლა, რომელშიც მასპინძელ ჯეინ კოუჩს (მარცხნივ) გერმანელი სემონ ლუკიჩი შემოელახა



REUTERS ლონდონიდან



ოთანკო-მეოცარიული ნავის კაპიტანმა ოლრან მუტნიოლმა ციტული მეინარჩუნა. ამ კაცმა მარტოსულთა ტრანს-ატლანტიკური რბოლა მოიგო, რომელიც ოთანგულ სენ მალოში 8 ნოემბერს დაიწყო და თოთხზე აღმოჩდილ მომენტში დასტულდა — მუტნიოლი კუნძულ გვადელუპას მიადგა

REUTERS ბუდაპეშტიდან

ეს არ არის ვეტერანთა მატჩი, ეს სამთავრობო შეხვედრაა. უნგრელმა და ბრიტანელმა პარლამენტარებმა ბუდაპეშტში 1953 წელს „უემბლიზე“ უნგრელთაგან ინგლისზე 6:3 ისტორიული გამარჯვების 45 წლისთავი აღნიშნეს. ფოტოზე უნგრეთის პრემიერ მინისტრი ვიქტორ ორბანი (მარცხნივ) ბრიტანელ პარლამენტარ კლაივ ბეტსს ებრძვის. ისევე როგორც 45 წლის წინათ, ამჯერადაც უნგრეთმა მოიგო, ოღონდ 2:0

REUTERS ბუქარესტიდან

ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინეთმა ფრანგებს უმასპინძლა, მედგრადაც იბრძოლა, მაგრამ 22:20 გამარჯვებით მაინც სტუმრებმა იხარეს. ამ სურათზე ფრანგთა ცნობილი მოთამაშის ჯეკსონ რიჩარდსონისა (ბურთით) და რუმინელი ლეონარდ ბიბირიგის ორთაბრძოლაა აღბეჭდილი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორაიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დეკვაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29